გაზეთი ბევრისა, „ვერსია" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№3 (898) 24 - 26 იანვარი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## ინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტთან



გვ. 6

# ვაკეში 22-სართულიან კორპუსს გიგი უგულავა აშენებს?!



ერთ დღეს მოვიდნენ და ხეები ქურდულად მოჭრეს... არავითარ ნორმებს არ იცავენ და ჩვენს წითელ ხაზებშიც უკანონოდ შემოიჭრნენ. ფაქტია, თბილისის არქიტექტურის სამსახური ხელს უწყობს ამ უკანონობას... მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეჩერდეს ამ სამსახურის მიერ გაცემული ნებართვა... სასამართლოში უკვე შევიტანეთ სარჩელი რამდენიმე მიმართულებით.

გვ. 3-4

რატომ გასცა თბილისის არქიტექტურის სამსახურმა უკანონო მშენებლობის ნებართვა და მიზეზი, რის გამოც ვაკე-საბურთალოს პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა!

## „გიდასტურებთ, მარგველაშვილსა და ღარიბაშვილს შორის წინააღმდეგობა არსებობს, მაგრამ..."

გვ. 5

ლევან ბერძენიშვილი მთავრობის ოპტიმიზაციის მომხრეა



## პაატა დავითაიას სკანდალური პროგნოზები



გვ. 7

## ბიძინა ივანიშვილმა არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე" დააფუძნა

ექსპრემიერი 28 იანვარს ჟურნალისტებთან შეხვედრას გამართავს

გვ. 2

## ცეცხლის ალში გახვეული კიევი, გარდაცვლილი აქტივისტები და „ხალხის პრეზიდენტი" ვიტალი კლიჩკო

გვ. 10

# „პოლიტიკური მოვლენები საქართველოში დინამიურია, ეკონომიკა კი უფრო მდგრადი ხდება“



ირაკლი ღარიბაშვილმა დავოსში, მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე მიიღო მონაწილეობა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე მონაწილეობა მიიღო სესიაში — „ევრაზია შემდეგი ზღვარი“. პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, სესიაზე სიტყვით გამოსვლისას ირაკლი ღარიბაშვილმა ყურადღება ევრაზიის რეგიონის ეკონომიკურ პერსპექტივებზე გაამახვილა.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ათასწლეულის დადგომიდან მოყოლებული, სტაგნაციის წლების შემდეგ, პოლიტიკური მოვლენები საქართველოში დინამიურობით გამოირჩევა, ხოლო ეკონომიკა სულ უფრო მდგრადი ხდება: **„მიუხედავად ამისა, ეკონომიკური ზრდა შემოიფარგლებოდა სექტორების მცირე ჯგუფით და ნაკლებად ჰქონდა არსებითი გავლენა, ზოგადად, ეკონომიკაზე. უკანასკნელ წლებში საქართველოს ეკონომიკაზე დიდი გავლენა იქონია რეგიონული მნიშვნელობის რამდენიმე მოვლენამ. მართლაც, სახეზეა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ძვრები. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივა, სთავაზობს რეგიონის ქვეყნებს ესოდენ აუცილებელ ბიძგს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების კუთხით. საუბარია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესახებ, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ჩათვლით. ვაჭრობასთან დაკავშირებული სტრატეგიების ზედმიწევნითი რეფორმების გატარებით, როგორც ეს მოიაზრება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველო იმედოვნებს, რომ მოიპოვებს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ გასასვლელს ევროკავშირის ბაზარზე თავისი პროდუქციისა და მომსახურებისთვის. მოსალოდნელია, რომ ეს ხელშეკრულება ხელს შეუწყობს პირდაპირი ინვესტიციების ნაკადს საქართველოში“.**

ირაკლი ღარიბაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ დავოსში გამართული საჭირო, ღია და არსებითი საუბრები გლობალური ეკონომიკური გამოწვევების შესახებ მომავალშიც გაგრძელდება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამუშაო ვიზიტი შვეიცარიაში დაიწყო.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ტრადიციულად მისი დამფუძნებლისა და აღმასრულებელი თავმჯდომარის, პროფესორ კლაუს შვაბისა და ჰილდე შვაბის მიერ ორგანიზებული მიღებითა და სადილით გაიხსნა.

პრემიერის ხელმძღვანელობით საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში არიან: ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, თანაინვესტირების ფონდის ხელმძღვანელი გიორგი ბაჩიაშვილი და საინვესტიციო სააგენტოს უფროსი გიორგი პერტაია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი დავოსში ფინელ კოლეგას, ირკი კატაინენსაც შეხვდა. მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები განიხილეს და ამ ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების პერსპექტივები დასახეს. ირაკლი ღარიბაშვილმა ირკი კიტაიანენს საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, არაღიარების პოლიტიკისა და ევროპული მისწრაფებების მხარდაჭერისათვის, ასევე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში შეტანილი წვლილისათვის მადლობა გადაუხადა.

მოგვიანებით, პრემიერმა ინტერვიუ მისცა ამერიკულ ტელეკომპანია CNBC-ს. მან საქართველო-რუსეთის ურთიერთობების შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველომ რუსეთთან ურთიერთობის დასარეგულირებლად ყველაფერი გააკეთა: **„საქართველოსა და უკრაინის მაგალითები განსხვავებულია, საქართველო იმდენად დამოკიდებული არაა რუსეთზე, როგორც უკრაინა. ჩვენი მთავრობისა და ქართველი ხალხის არჩევანი ევროპული გზაა. არ ვამბობ, რომ რუსეთის მხრიდან პროვოკაციებს არ ველოდებით, მაგრამ რისკები მინიმალურია. საქართველო არჩეულ კურსს არ შეიცვლის. როცა მოვედით მთავრობაში, რუსეთთან ურთიერთობაში რიტორიკა შევცვალეთ და ყველაფერი გავაკეთეთ რუსეთთან ურთიერთობის დასარეგულირებლად, სწორედ ეს იყო ევროპისა და ამერიკის ნომერპირველი რეკომენდაცია. რუსეთთან ურთიერთობაში ყველაფერი კარგად მიდის პოლიტიკური ურთიერთობების გარდა. ჩვენ შევცვალეთ რიტორიკა და მხოლოდ კონსტრუქციულ ნაბიჯებს ვდგამთ. ამიტომ ჩვენთვის გაუგებარია, ის პრობლემები, რომელიც საოკუპაციო ხაზთან იქმნება“**. ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს შიდა პოლიტიკაზეც ისაუბრა. მისი თქმით, ჩვენ ქვეყანაში პოლიტიკური მოვლენები დინამიურობით გამოირჩევა, ეკონომიკა კი, უფრო მდგრადი ხდება.

ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში ირაკლი ღარიბაშვილი LUKOIL-ის დამფუძნებელ ვაგიტ ალეკპეროვსაც შეხვდა. პრემიერის პრესსამსახურის ცნობით, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას, ხოლო აღიარებული და სანდო საერთაშორისო კომპანიების შემოსვლა საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტია.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ირაკლი ღარიბაშვილის შეხვედრა რამდენიმე ქვეყნის პირველ პირთან, მათ შორის: შვეიცარიის კონფედერაციისა და ყაზახეთის პრეზიდენტებთან, ასევე საუდის არაბეთის პრინც ტურკი ალ ფაიზალთან.

დაგეგმილია ასევე შეხვედრები მსოფლიოში წამყვანი კომპანიების წარმომადგენლებთან: LAZARD, TATA SONS LTD, EMAAR PROPERTIES, JUMEIRAH GROUP, BLACKSTONE GROUP, LAFARGE, AGILITY LOGISTICS, AGCO, ROYAL PHIPIPS, MOLLER MAERSK. საქართველოს პრემიერ-მინისტრი შეხვდება მსოფლიო ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ხელმძღვანელებს. დაგეგმილია შეხვედრა ჯორჯ სოროსთან. რამდენიმე კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ, უკვე გაკეთდა განცხადება, რომ უცხოელი ინვესტორები საქართველოში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესებულნი არიან, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანია.

***„ვერსიანიუსი“***



## ბიძინა ივანიშვილმა არასამთავრობო ორგანიზაცია დააფუძნა

საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა არასამთავრობო ორგანიზაცია დააფუძნა, სახელწოდებით — „მოქალაქე“. ბიძინა ივანიშვილი ორგანიზაციას თავად უხელმძღვანელებს. როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, არასამთავრობო ორგანიზაციის მიზანი ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცებაა.

ორგანიზაციის ხედვისა და მიზნების შესახებ ბიძინა ივანიშვილი დაწვრილებით 28 იანვარს ქართული და საერთაშორისო მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას ისაუბრებს.

***„ინტერპრესნიუსი“***




## ეროვნულმა ბანკმა, ლარის გამყარების მიზნით, 40 მილიონი დოლარი გაყიდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის გამყარების მიზნით ისევ დოლარი გაყიდა. კერძოდ, ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე დღეს 40 000 000 აშშ დოლარი გაიტანა. საშუალო შეწონილმა გაცვლითმა კურსმა 1.7792 შეადგინა. ლარის კურსი დოლართან მიმართებაში ბოლო რამდენიმე თვეა, გაუფასურებას განაგრძობს.

***„ინტერპრესნიუსი“***



## დავით კეზერაშვილს აინტერესებს, აღდგა თუ არა საქართველოში სამართლიანობა

აღნიშნული კითხვით საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა საფრანგეთში სასამართლო პროცესზე შესვენების დროს საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტს მიმართა.

სასამართლო პროცესზე შესვენების დროს გამონაკლისი დაუშვეს და ჟურნალისტი სასამართლოს სხდომათა დარბაზში შეუშვეს. მარიამ ცარელაშვილის თქმით: **„შორიდან გავესაუბრე მას. დავით კეზერაშვილმა თქვა, რომ არაფრის თქმა არ სურდა ჟურნალისტებისთვის, თუმცა საკმაოდ თბილად მოგვიკითხა და დაინტერესდა, თუ რა ხდება საქართველოში და აღდგა თუ არა სამართლიანობა**“. ექს-ან-პროვანსის სასამართლოში საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის ექსტრადირების საკითხს განიხილავდნენ. სხდომას ბრალდებულიც ესწრებოდა.

***„პია.გე“***

# ვაკეში 22-სართულიან კორპუსს გიგი უგულავა აშენებს?!



რატომ გასცა თბილისის არქიტექტურის სამსახურმა მშენებლობის ნებართვა და მიზეზი, რის გამოც ვაკე-საბურთალოს პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ვაკეში, ჭავჭავაძის №29-31-33-სა და ხეჩინაშვილის სახელობის კლინიკას შორის არსებულ ტერიტორიაზე, შპს „მოყვასი 2012“ 22-სართულიანი კორპუსის მშენებლობას გეგმავს. ჭავჭავაძის №29-31-33-ის მობინადრეები, რომლებიც „ამხანაგობა — ჭავჭავაძე 2001“-ის წევრები არიან, აცხადებენ, რომ კომპანია მრავალფუნქციურ კორპუსს დარღვევებით აშენებს, რის გამოც, სასამართლოში სარჩელი შეიტანეს. მობინადრეები შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებისგან დახმარებას, მათი უფლებების დაცვასა და უკანონო მშენებლობის შეჩერებას ითხოვენ.**

ჭავჭავაძის №29-31-33-სა და ხეჩინაშვილის სახელობის კლინიკას შორის მდებარე ტერიტორია 2009 წელს შეიტანეს საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში. ტერიტორია რამდენჯერმე გაიყიდა, ბოლოს კი შპს „მოყვასი 2012“-მა შეიძინა, რომელიც, თავდაპირველად, 10-სართულიანი კორპუსის მშენებლობას გეგმავდა. სამი წლის განმავლობაში, თბილისის არქიტექტურის სამსახურს მშენებლობის ნებართვა არ გაუცია, რადგან არსებობდა საფრთხე, რომ ამ ტერიტორიის მწვანე საფარი განადგურდებოდა. გარდა ამისა, იმის საშიშროებაც იყო, რომ ახალი ობიექტი, ჭავჭავაძის №29-31-33-ში, უკვე აშენებული საცხოვრებელი კორპუსის წითელ ზოლში შეიჭრებოდა. 2013 წლის ოქტომბერში, მოულოდნელად, თბილისის არქიტექტურის სამსახურმა შპს „მოყვასი 2012“-ს ოფიციალური ნებართვა მისცა და კომპანიამ 22-სართულიანი კორპუსის მშენებლობა დაიწყო, რისთვისაც იშვიათი ჯიშის, 30-წლიანი ხეები მოჭრეს, „ამხანაგობა — ჭავჭავაძე 2001“-ის წითელ ზოლში შეიჭრნენ, სახანძრო და მშენებლობის უსაფრთხოების ნორმები დაარღვიეს და გაზის მილებიც უკანონოდ გადააადგილეს.

„ვერსიაში“ არაერთი ჟურნალისტური გამოძიება გამოქვეყნდა, რომელიც გიგი უგულავას სამშენებლო „ვნებებს“ უკავშირდება. სისხლის სამართლის საქმეში, რომელიც თბილისის უფლებაშეჩერებული მერის წინააღმდეგაა აღძრული, არსებობს მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციაში უგულავას ქვისლის (ცოლის დის ქმრის) სამშენებლო კომპანია იღებდა მონაწილეობდა. მეტიც, გუდაურის სასტუმროებშიც უგულავას მეგობრებისა და ნათესავების ინტერესები იკვეთება და ზოგადად, თბილისის მერიის გამოცხადებულ ტენდერებში, ხშირად მისი ძმის კუთვნილი კომპანია იმარჯვებდა. მართალია, ჭავჭავაძის №29-31-33-ის მობინადრეებს ოფიციალური დოკუმენტი არ აქვთ, რომლითაც ამავე მისამართზე, 22-სართულიანი კორპუსის მშენებლობაში გიგი უგულავას ინტერესი იკვეთება, მაგრამ თბილისის ცენტრში, ვაკეში, 22-სართულიანი კორპუსის უკანონო მშენებლობაზე ნებართვა მერიის არქიტექტურის სამსახურმა გასცა და გიგი უგულავას თანხმობის გარეშე, ამას ნამდვილად ვერ გაბედავდა. ალბათ, ესეც გახდა მიზეზი, რომ აღნიშნულ მისამართზე მცხოვრებლებს ეჭვი აქვთ, 22-სართულიან შენობას თავად უგულავა აშენებს.

საეჭვოა ისიც, რომ სამი წლის განმავლობაში, ნებართვა მხოლოდ 2013 წლის ოქტომბერში, საპრეზიდენტო არჩევნებამდე გაიცა. როგორც ჩანს, ოფიციალური შედეგის დადგომამდე, დედაქალაქის ხელმძღვანელობა მოსწრებაზე იყო, თორემ სხვაგვარად როგორ აიხსნება, რომ 10-სართულიანი კორპუსის ნაცვლად, მოულოდნელად, 22-სართულიანის მშენებლობა გადაწყდა?

„ვერსიას“ ჭავჭავაძის №29-31-33-ის მობინადრე, „ამხანაგობა — ჭავჭავაძე 2001“-ის წევრი, **მანანა ნავროზაშვილი** ესაუბრება.

*დასასრული მე-4 გვერდზე*





## დავით ნარმანია თბილისის მერიას საბოტაჟში ადანაშაულებს

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის დავით ნარმანიას განცხადებით, თბილისის მერია ვალდებულია, დეტალური და გამჭვირვალე ბიუჯეტი წარადგინოს საკრებულოში და ასეთი ბიუჯეტი აქამდე წარდგენილი არ ჰქონდა: **„ბიუჯეტის ბოლო ვერსიას არ ვიცნობ და არ ვიცი, რამდენად გაითვალისწინა მერიამ საკრებულოს შენიშვნები. დეტალურად უნდა ვნახოთ პროექტი, თუმცა ის, რასაც დღეს მერია აკეთებს, აშკარად შეიცავს საბოტაჟის ნიშნებს. მათ შეუძლიათ ძალიან ბევრი ღონისძიების დაფინანსება, ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ტრანსფერი მიღებული აქვთ და ანგარიშზე რამდენიმე ათეული მილიონი ლარი გააჩნიათ, ამიტომ ასეთ პირობებში ცალკეული ღონისძიებების შეფერხება სხვას არაფერს ემსახურება, თუ არა იმას, რომ ხალხს მოაჩვენონ, თითქოს ბიუჯეტის დაუმტკიცებლობა ქმნის პრობლემებს“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

## მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისთვის ახალი სამმართველო შეიქმნა

პრობაციონერთა სარეაბილიტაციო პროგრამების საკითხებზე საორგანიზაციო შეხვედრა გაიმართა, სადაც პრობაციის ეროვნული სააგენტოს ახლადშექმნილი სტრუქტურული ერთეულის, სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს, ფუნქციონირების შესახებ იმსჯელეს. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის პირველმა მოადგილე გრიგოლ გიორგაძის მიერ გახსნილ ღონისძიებაში პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი გიორგი არსოშვილი, სააგენტოს სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ახალი სამმართველო დაგეგმავს, კოორდინირებასა და მონიტორინგს გაუწევს მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და გადამზადების პროგრამებს. აღნიშნული პროცესის მაღალკვალიფიციურად განხორციელების უზრუნველსაყოფად, შემუშავდება სააგენტოს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების პროფესიული სტანდარტები.

*„ინტერნეტნიუსი“*



## აკრძალული საგნების შენახვის ფაქტზე ოთხ მსჯავრდებულს ბრალი წარედგინა

სასჯელაღსრულების №2 დაწესებულებაში ოთხ მსჯავრდებულს საქართველოს სსკ-ის 3782-ე მუხლის პირველი ნაწილით, დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნის შენახვის ფაქტზე ბრალი წარედგინათ. ამის შესახებ „ექსპრესნიუსს“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან აცნობეს.

**„გამოძიების თანახმად, მსჯავრდებულმა ზ.ს.-მ სასჯელაღსრულების №2 დაწესებულებაში 2013 წლის 23 ოქტომბერს, კუსტარული წესით დაამზადა აკრძალული ალკოჰოლური სასმელი ე.წ. ბრაგა, რომელსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა საკანში, მის საწოლთან არსებულ გამათბობელთან. 2013 წლის 25 ოქტომბერს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ხსენებული ალკოჰოლური სასმელი დაწესებულების თანამშრომლებმა ამოიღეს. მსგავსი კანონდარღვევა განახორციელეს მსჯავრდებულებმა გ.ტ.-მ, ტ.უ.-მ და დ.კ.-მ. №2 დაწესებულების თანამშრომლებმა მათი კუთვნილი ალკოჰოლური სასმელი ე.წ. ბრაგა 2013 წელს, სხვადასხვა დროს ამოიღეს“.**

აღნიშნული მუხლით ჩადენილი დანაშაული სასჯელის სახით სამ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

*„ექსპრესნიუსი“*

# ვაკეში 22-სართულიან კორპუსს გიგი უგულავა აშენებს?!



*მე-3 გვერდიდან*

— ამ ტერიტორიის მფლობელია კომპანია „მოყვასი 2012“, სადაც განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი 3.5-ია, მაგრამ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ახლა ეს კოეფიციენტი 5.5-მდე გაზარდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ კომპანიას ადრე 10-სართულიანი კორპუსის აშენება შეეძლო, ახლა 22-სართულიანს აშენებენ. რა თქმა უნდა, ამაზეც ვამზადებთ საჩივარს. სამი წლის განმავლობაში, თბილისის არქიტექტურის სამსახური ამ პროექტს არ ათანხმებდა. პრობლემა გამწვანება, კომუნიკაციები და კორპუსის სიმაღლე იყო. რა მოხდა არ ვიცი, მაგრამ 2013 წლის ოქტომბერში, არქიტექტურის სამსახურმა პროექტი შეათანხმა და კომპანიამ მშენებლობა დაიწყო. არადა, პირობები არ შეცვლილა, არც ტერიტორია გაზრდილა და არც კორპუსის გაბარიტები შემცირებულა.

— **ქალბატონო მანანა, გამწვანებისა და კომუნიკაციების პრობლემის მიუხედავად, კომპანიამ მშენებლობა მაინც დაიწყო?**

— დიახ და, იცით, ეს პრობლემა როგორ გადაჭრეს? ერთ დღეს მოვიდნენ და ხეები ქურდულად მოჭრეს. რა თქმა უნდა, პატრული გამოვიძახეთ და შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს პოლიციის პირველ განყოფილებაში, ხეების უკანონო გაჩეხვის ფაქტზე, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ჩვენ ქალაქის გამწვანების სამსახურის უფროსის წერილიც გვაქვს, რომლის მიხედვითაც, კორპუსი ხეებიდან 4 მეტრის დაშორებით უნდა აშენდეს, მაგრამ 4 მეტრი კი არა, პირდაპირ 1 მეტრშია ჩაჭრილი. მეტიც, ჩვენი კორპუსის მხარეს, ხეებს ფესვებიც კი გამოჭრეს. საერთოდ, არავითარ ნორმებს არ იცავენ და ჩვენს წითელ ხაზებშიც უკანონოდ შემოიჭრნენ. გამწვანების სამსახურმა მისწერა კიდეც სამშენებლო კომპანიას, რომ ხეების მოჭრა მიზანშეწონილი არ არის, მაგრამ უშედეგოდ. საერთოდ, ქალაქის არქიტექტურის სამსახური აუღებელი ციხე-სიმაგრეა, რადგან გამწვანების სამსახურის მითითებებს არ ითვალისწინებს და როგორც გითხარით, მშენებლობის ნებართვა გასცა. სხვათა შორის, თბილისის ზედამხედველობის სამსახურიც პატიოსნად მოიქცა, რადგან 2014 წლის 17 იანვარს, მშენებლობა შეაჩერა. ზოგადად, ზედამხედველობის სამსახური იქამდე ვერ ჩაერევა, ვიდრე მშენებლობა არ დაიწყება. როდესაც კომპანიამ ხეები მოჭრა და ჩვენ პატრული გამოვიძახეთ, ისინი თვითონ დაუკავშირდნენ ზედამხედველობის სამსახურს.

რაც შეეხება კომუნიკაციების პრობლემას, მშენებლობის ტერიტორიაზე გაზის ხაზოვანი კვეთის მილი გადიოდა, 2013 წლის 16 მაისს, „ყაზტრანსგაზთბილისს“ მივწერეთ წერილი, რათა ეს ობიექტი კონტროლზე აეყვანა, რომ გაზის მილს ჩვენს ტერიტორიაზე არ გაევლო. კომპანიამ საინტერესო პასუხი მოგვწერა: **„აღნიშნული გაზსადენის გადალაგების სამუშაოები ჩატარდა შპს „მოყვასი 2012“-ის საკადასტრო ხაზებში. შესაბამისად, ჩატარებულ სამუშაოს არანაირი შეხება არ აქვს „ამხანაგობა — ჭავჭავაძე 2001“-ის წითელ ხაზებთან“.** ამის შემდეგ, ჩვენი წითელი ხაზები დამატებით შევამოწმეთ და დავამტკიცეთ, რომ სამშენებლო კომპანია შემოჭრილია. ამაზე „ყაზტრანსგაზთბილისმა“ ასე გვიპასუხა: **„როგორც წითელი ხაზების განმეორებითმა აზომვამ აჩვენა, დღეს არსებული მდგომარეობით, გადალაგებული გაზსადენი 30-40 სანტიმეტრითაა შესული „ამხანაგობა — ჭავჭავაძე 2001“-ის საკადასტრო ხაზებში“.** უახლოეს დღეებში, ვაპირებთ, „ყაზტრანსგაზთბილისის“ წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შევიტანოთ. გარდა ამისა, სახანძრო უსაფრთხოების ნორმებიც დარღვეულია, რადგან ჩვენს კორპუსსა და მშენებარე ობიექტს შორის, დაშორება 8-10 მეტრი და დამატებით, კიდევ 6 მეტრი უნდა იყოს, რომ სახანძრო მანქანა შემოვიდეს და კიბე გაშალოს. ეს აუცილებელია, რათა ხანძრის შემთხვევაში, მეხანძრე ყველა ფანჯარაში შევიდეს. ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ სამშენებლო ნორმები უკვე აღარ არსებობს, სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს გაუქმდა.

— **თუ გაქვთ მტკიცებულება, რომ სამშენებლო კომპანიაში, ან თუნდაც ამ კორპუსის მშენებლობაში გიგი უგულავას ინტერესი იკვეთება?**

— ასეთი მტკიცებულებები არ გვაქვს.

— **თბილისის ცენტრში, ჭავჭავაძის 33-ში, უკანონოდ შენდება 22-სართულიანი კორპუსი, რის გამოც, სისხლის სამართლის საქმეცაა აღძრული და როგორ ფიქრობთ, უგულავას ხელშეწყობის გარეშე, რომელი კომპანია გაბედავდა ამდენს?**

— ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტების მიხედვით, ასეთი პირდაპირი კავშირი არ ჩანს, მაგრამ ფაქტია, რომ თბილისის არქიტექტურის სამსახური ხელს უწყობს ამ უკანონობას. შესაბამისად, ასეთი ეჭვი ჩნდება, მაგრამ დამადასტურებელი საბუთი არ გვაქვს. რაც შეეხება სამშენებლო კომპანიას, მათ კეთილსინდისიერ ინვესტორებს ვერ ვუწოდებთ, რადგან 2012 წელს, როდესაც ეს ტერიტორია შეიძინეს, ჩვენი კორპუსი უკვე აშენებული იყო. როცა ხედავ, ამხელა კორპუსი უკვე აშენებულია და პარალელურად, ყოველგვარი ნორმების დარღვევით, 10-სართულიანის ნაცვლად, მოულოდნელად, 22-სართულიანი კორპუსის მშენებლობას იწყებ, კეთილსინდისიერი ინვესტორი უკვე აღარ ხარ. რაც მთავარია, ამ ტერიტორიაზე 22-სართულიანი კორპუსის მშენებლობა არ შეიძლება.

— **როგორ აპირებთ ამ პრობლემის მოგვარებას?**

— ამხანაგობამ სასამართლოში უკვე შეიტანა სარჩელი რამდენიმე მიმართულებით. პირველი — დაუყოვნებლივ შეჩერდეს თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვა, მეორე — „ყაზტრანსგაზთბილისს“ ვუჩივით ამ უკანონობის გამო და მესამე — უკვე მოვამზადეთ სარჩელი იმის გამო, რომ 3.5-იანი კოეფიციენტი, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, 5.5-მდე გაზარდეს.

## ეკონომიკა

# საქართველოში უმუშევრობის დონე შემცირდება?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) დასკვნით, 2014 წელს, საქართველოში უმუშევრობის დონე 13.7%-მდე შემცირდება. უცხოელი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საწარმოებს, რომლებიც სამუშაო ადგილებს ქმნიან, ხელისუფლება უნდა დაეხმაროს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია დსთ-ს ქვეყნებში არსებული ტენდენციებით დაინტერესდა და დაასკვნა, რომ ამ მხრივ, საქართველო ბევრად უარეს მდგომარეობაშია, ვიდრე თუნდაც, მეზობელი სომხეთი. დამოუკიდებელ ანალიტიკოსს, დემურ გიორხელიძეს მიაჩნია, რომ საქართველოში ტოტალური უმუშევრობაა, მაგრამ მთავრობამ რამდენიმე სწორი ნაბიჯი უკვე გადადგა. თუ ხელისუფლების ეს მონახაზი რეალურად შესრულდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ უმუშევრობის დონე, ეტაპობრივად გაუმჯობესდება.**

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, 2013 წელს, საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი 14.32% იყო, რაც დსთ-ს მასშტაბით, სომხეთის — 18.64% შემდეგ, ყველაზე მაღალია. უმუშევრობის დონით, მესამე ადგილზე ლიტვაა — 12.12%, ხოლო ლატვიაში, უზბეკეთში, ტაჯიკეთსა და თურქმენეთში, მხოლოდ 10% დაფიქსირდა. საქართველოსთან შედარებით, უმუშევრობის დონე ორჯერ დაბალია უკრაინასა — 7.89% და ყირგიზეთში — 7.9%, ხოლო რუსეთში, ბელორუსში, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში 5%-დან 6%-ის ფარგლებში მერყეობს.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტების ყურადღება საქართველომ სოციალური უთანასწორობის მაღალი მაჩვენებლებითაც მიიპყრო. „მსოფლიო დასაქმების ტენდენციები — 2014“-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ კრიზისის გამო, ქვეყანაში ხელფასების შემცირების ტენდენცია გამოიკვეთა. კვლევის მიხედვით, ანაზღაურების არახელსაყრელი ზრდა მოსახლეობის ღარიბ ფენაზე ნეგატიურად აისახება, გარდა ამისა, გენდერული თვალსაზრისით, ხელფასებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა: **„მაგალითად, დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებში, მამაკაცთა ხელფასი, ქალებისას 23%-ით აღემატება. დსთ-ს ქვეყნებში კი ეს სხვაობა უფრო მაღალია, საქართველოში — 50%-ს, ტაჯიკეთში – 65%-ს აღწევს“.**

მთლიანობაში, ანგარიში პესიმისტურია. ორგანიზაციის ექსპერტების განცხადებით, ეკონომიკის ზრდის შენელებამ, შრომის მსოფლიო ბაზრებზე მდგომარეობა გააუარესა. შესაბამისად, მთელ მსოფლიოში, 202 000 000 უმუშევარია. მართალია, ბევრი სექტორი მოგებაზე მუშაობს, მაგრამ ეს მოგება ფინანსურ ბაზრებზე გაედინება და რეალურ ეკონომიკაში არ იდება. შესაბამისად, ეს ტენდენცია გრძელვადიანი დასაქმების პერსპექტივას ხელს უშლის.

უცხოელი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საჭიროა, შესაბამისმა ინსტიტუტებმა სასწრაფოდ დაიწყონ ფიქრი პოლიტიკის შემუშავებაზე. აუცილებელია, რომ საწარმოებს, რომლებიც სამუშაო ადგილებს ქმნიან, სახელმწიფომ დახმარება გაუწიოს.

რამდენად რეალურია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პროგნოზი, რომ 2014 წელს, საქართველოში უმუშევრობის დონე შემცირდება მაშინ, როდესაც საწარმოები სრული დატვირთვით არ მუშაობს და ეკონომიკის ზრდის ტემპიც შენელებულია? ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ხელს ინვესტიციების რაოდენობის ზრდა უწყობს, მაგრამ ამ ეტაპზე, ჯერ არც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ჩანს.

„ვერსიას“ დამოუკიდებელი ანალიტიკოსი, **დემურ გიორხელიძე** ესაუბრება:

— საქართველოში უმუშევრობის დონე 70%-ია, ამიტომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნა ჩვენს ქვეყანას არ ეხება. ტოტალური უმუშევრობის ქვეყანა ვართ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემები კი განვითარებული ეკონომიკისა და დემოკრატიულ ქვეყნებს ეხება. საქართველო ჯერ არც ერთია და არც მეორე, აქ ეკონომიკა კატასტროფულ მდგომარეობაშია, ტოტალური უმუშევრობის ფონზე, ხელფასს 600 000-ზე ცოტა მეტი ადამიანი იღებს. შესაბამისად, აქ ისედაც ყველაფერი გაუარესებულია. შესაძლოა, საქართველოში რაღაც გაუმჯობესდეს, მაგრამ ჯერჯერობით, ეს მხოლოდ მონახაზია. ცოტა ხნის წინ, მთავრობამ რამდენიმე სწორი მონახაზი წარმოადგინა, მაგრამ მათ შესრულებამდე, ჯერ კიდევ დიდი დროა.

— **გაუმჯობესებაში, კონკრეტულად, რას გულისხმობთ?**

— „სტარტაპის“ დაფინანსებას. გარდა ამისა, სამთავრობო პროგრამიდან 150 000 000 ბიზნესის განვითარებას მოხმარდება და ესეც სერიოზული ნაბიჯი იქნება. ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი სააგენტოც იქმნება, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუ ინსტიტუციონალურად, სწორად ჩამოყალიბდება. არის მცდელობა, ხელისუფლებამ ინვესტიციები მოიზიდოს. ყოველ შემთხვევაში, მთავრობის ცალკეული წევრების ბოლოდროინდელი განცხადებები, ცუდი ნამდვილად არ არის.

— **რა რეალური საფუძველი არსებობს, რომ 2014 წელს, საქართველოში უმუშევრობის დონე შემცირდეს?**

— თუ ეკონომიკაში ვითარება არ გამოცოცხლდა და ეს ფუნდამენტალური საკითხია საქართველოს მთავრობისთვის, უმუშევრობის დონე არ შემცირდება. თუ წელსაც ისეთივე უმოქმედობა იქნება, როგორც 2013 წელს, გაცილებით მძიმე შედეგებს მივიღებთ.

# „გიდასტურებთ, მარგველაშვილსა და ღარიბაშვილს შორის წინააღმდეგობა არსებობს, მაგრამ...“

რუსუდან შელია
557-100-768

**მიუხედავად იმისა, რომ ახალ მთავარ პროკურორს არ იცნობს და მის შესახებ მხოლოდ სხვებისგან სმენია — ახალგაზრდა და განათლებულიაო, ამბობს და გახმაურებული საქმეების სწრაფად გახსნის მოლოდინი აქვს. იმასაც აცხადებს, რომ მალე ნაციონალური მოძრაობის ლიდერების მიერ განხორციელებული უკანონო ფინანსური სქემები გაიშიფრება, თუმცა პირადად, მიხეილ სააკაშვილის დაკავებას არ ემხრობა. განმარტავს, რომ გარკვეულ ქვეყნებში ჯერ კიდევ საქართველოს ექსპრეზიდენტის კულტი არსებობს, ამიტომ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის დაკავებაზე დასავლეთს უარყოფითი რეაქცია ექნება. რა მორალურ პასუხისმგებლობას აკისრებს „ქართულ ოცნებას“ და რას გულისხმობს მთავრობის ოპტიმიზაციაში, „ვერსიას“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილი ესაუბრა.**

## რატომაა აუცილებელი მთავრობის ოპტიმიზაცია და რატომ მოიხდის ბოდიშს ლევან ბერძენიშვილი



— ახალ მთავარ პროკურორს არ ვიცნობ, მის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ ახალგაზრდა, ენერგიული და განათლებული ადამიანია. დარწმუნებული ვარ, გახმაურებულ საქმეებზე გამოძიება სწრაფად გაგრძელდება. ამ მიმართულებით უამრავი საკითხი დაგროვდა, მათ შორის, ნაციონალური მოძრაობის კორუფციულ სქემებთან დაკავშირებით, ამიტომ ერთი გიორგი ბადაშვილი კი არა, ყველანი პროკურორებად რომ ვიქცეთ, ერთბაშად ყველა საქმის განხილვას ვერ აუვალთ. ამ ფონზე, გარკვეული რიგითობის პრინციპი უნდა ჩამოყალიბდეს. პარალელურად, სამართლიანობის აღდგენის კომისიაც უნდა შეიქმნას.

**— ახალი პროკურორის მიმართ საზოგადოებაში კითხვები უკვე გაჩნდა, მას საბრალდებო დასკვნის იძულებით ხელმოწერაში სდებენ ბრალს. ბევრს ეჭვი ეპარება მის გამოცდილებასა და პროფესიონალიზმშიც...**

— ვინც პროკურატურაში მუშაობს, გარკვეულ ეტაპზე, რაღაც გაკეთებული აუცილებლად ექნება. მთავარია, თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ როგორ იმუშავებს. მთავარ პროკურორს საზღვარგარეთიდან ვერ დავიქირავებთ, არსებული მოცემულობიდან უნდა შევარჩიოთ. ეს, დაახლოებით, ბაზარში ყველის შერჩევას ჰგავს — ყველი, რომელიც მიყვარს საქართველოში 30 წელზე მეტია არ იყიდება, მაგრამ რაც დახლზე დევს, იქიდან საუკეთესოს ვარჩევ. კოალიციის ექსპერიმენტმა მთავარ პროკურორად ახალგაზრდა, სამოქალაქო სექტორში გამოცდილი ადვოკატის, არჩილ კბილაშვილის დანიშვნამ ვერ გაამართლა. არც იმის მომხრე ვარ, რომ პროკურორის ბიოგრაფიაში შავი ლაქები იყოს, თუმცა ამ თანამდებობაზე ფრთიანი ანგელოზებიც ნაკლებად სასარგებლოა. პროკურორი უნდა იყოს მკაცრი, რათა კანონის უზენაესობა აღასრულოს. ისიც მთავარია, სწრაფ ტემპში ხარისხი არ დაიკარგოს და სასამართლოში პროკურორები დამაჯერებლად წარსდგნენ. არავის უნდა შეექმნას შთაბეჭდილება, რომ „ქართული ოცნება“ ოპოზიციაზე პოლიტიკურ დევნას ახორციელებს.

**— ნაციონალები პოლიტიკურ დევნაზე დიდი ხანია საუბრობენ, კეზერაშვილის ექსტრადირების საკითხიც პარტიისთვის ფინანსური რესურსის ჩაკეტვის მცდელობად შეფასდა...**

— როგორც ჩანს, ცხოვრებას ჩამოვრჩი... არადა, 35 წელია პარტიაში ვარ და ფინანსური საკითხებიც, მეტ-ნაკლებად, ვიცი. დავით კეზერაშვილი, რომელიც მილიონერად არ დაბადებულა და ჩვეულებრივი ბანდიტია, ნაციონალური მოძრაობის დიდი სირცხვილია! მისი დანაშაულების შესახებ საქართველოში კი არა, მთელ მსოფლიოში აცხადებენ, რაც „დელოიტის“ დასკვნამაც დაადასტურა. იმ პერიოდში, როცა საქართველო საომარ ვითარებაში იყო,ექსმინისტრმა კეზერაშვილმა ისრაელისგან ნაყიდი იარაღი ერთ-ერთ მუსულმანურ ქვეყანას მიყიდა. ჩანს, ნაციონალებს გეგმები იმდენად აერიათ, მათთვის წმინდანებად საერთაშორისო დამნაშავე კეზერაშვილი, ვანო მერაბიშვილი და მისი მეუღლე თაკო სალაყაია იქცნენ. მერაბიშვილის ცოლის დაკითხვის საკითხს პოლიტიკურ დევნად ვერავინ გამოაცხადებს, რადგან მას მსხვერპლად ახალგაზრდა კაცი შეწირეს. სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით, ევროპის სასამართლომ დასკვნა გამოგვიგზავნა, რომლის წაკითხვისას პირადად მე ძალიან შემრცხვა — მაშინდელმა ხელისუფლებამ, მათ შორის, პრეზიდენტმა ველური ადამიანებივით იმოქმედეს.

**— ანუ, შესაძლოა, თაკო სალაყაიაც დააკავონ?**

— უნდა გაირკვეს, რა როლი შეასრულა სალაყაიამ გირგვლიანის მკვლელობაში, პირადად გასცა ბრძანება თუ სხვებმა კაცის სიკვდილით ასიამოვნეს. მერაბიშვილის მეუღლე მორალურად დამნაშავეა, თუმცა სამართლებრივი მხარე პროკურატურამ და სასამართლომ უნდა განსაზღვროს. თუ სასამართლოში დამტკიცდა, რომ ყველანი ვცდებით გახმაურებულ მკვლელობებთან, ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვასთან, კორუფციულ გარიგებებთან დაკავშირებით, ბოდიშს მოვიხდი და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს თუნდაც კეზერაშვილის ფული, თუმცა ფაქტია, რომ ეს ადამიანები ბიუჯეტს ძარცვავდნენ და ხალხის ჯიბიდან მილიონებს შოულობდნენ.

**— ბიუჯეტის ფულს მთავრობაც კომფორტულ მანქანებსა და ძვირადღირებულ ტექნიკაში ხარჯავს. წლების განმავლობაში ნაციონალურ მოძრაობას ამ მიმართულებით აკრიტიკებდით, ახლა მორალურ პასუხისმგებლობას არ გრძნობთ?**

— მანქანა არ იყიდო და არ გადაადგილდე-მეთქი, სააკაშვილისთვის არასოდეს მითქვამს. რაც შეეხება მთავრობის ხარჯებს, ხელფასი უკვე შემცირებულია და დანარჩენი დეტალებიც გაირკვევა, მათ შორის, რეგალიები განისაზღვრება. თან ამ ყველაფერს დანაშაულთან პირდაპირი კავშირი არ აქვს. ნაციონალური მოძრაობა ბიუჯეტიდან პარტიის აქტივისტებს აფინანსებდა, რომლებიც მერიაში თანაშემწეებად ჰყავდათ გაფორმებულები. კი ბატონო, ამ შემთხვევაში მორალურ პასუხისმგებლობაზე უნდა ვისაუბროთ, თუმცა ნაციონალების დანაშაულებს არ უნდა შევადაროთ, რომელთა ლიდერები სისხლის სამართლის დანაშაულში არიან მხილებულნი.

**— ახლა თქვენ განცხადებას არ ეწინააღმდეგებით, როცა აღნიშნეთ, დასავლეთში სააკაშვილს საქართველოზე მაღალი ავტორიტეტი აქვს?**

— დიახ, სააკაშვილმა მოახერხა, მსოფლიოსთვის თავი დემოკრატად და რუსეთთან მებრძოლ ლიდერად გაეცნო. მან ამ მიმართულებით კარგი პიარი აიგორა. როცა პოლონეთში, ესტონეთში, შვედეთსა და ჩეხეთში ჩავდივართ, ადგილობრივი პოლიტიკოსები გვიყვებიან, რამდენად კარგი კაცია სააკაშვილი. საქართველო ძალიან მიყვარს, სააკაშვილი კი მაშინაც არ მყვარებია, როცა თანამებრძოლები ვიყავით. მისი სიყვარული რთულია, რადგან ის ფეხზე მაშინაც კი არ დგებოდა, როცა ოთახში მოხუცი ადამიანი შემოდიოდა. სააკაშვილი თავიდანვე ასეთი იყო და სასიყვარულო ერთი თვისებაც არ ჰქონდა, უბრალოდ, მასთან ერთად შევარდნაძის წინააღმდეგ ვიბრძოლეთ. თუმცა ჩვენი დამოკიდებულების მიუხედავად სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და თავი არ მოვიტყუოთ — პოლონეთსა და ბალტიისპირეთში დღემდე სააკაშვილის კულტია და კიდევ დიდხანს იქნება.

**— ამ ხნის განმავლობაში, „ქართულმა ოცნებამ“ დასავლეთში ნდობის მოპოვება რატომ ვერ მოახერხა?**

— ვფიქრობ, მოვახერხეთ. ეტაპობრივად, მსოფლიოს გავაგებინებთ, სინამდვილეში, ვინ, რას წარმოადგენს. მაგალითად, ევროსაბჭოს დელეგაციას არაფერი უკითხავს ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით და მაჰმადიან მესხებზე გვესაუბრებოდა. ერთი წლის წინ მწვავე კითხვებს გვისვამდნენ, სერიოზული საყვედურებიც მოვისმინეთ და ჩვენს წინააღმდეგ რეზოლუციებიც მიიღეს. ეს საფრთხე ახლა აღარ არსებობს. თუმცა ჯერ კიდევ ვერ მოვახერხეთ სააკაშვილის, როგორც რუსეთთან მებრძოლი ლიდერის გადაფარვა, რადგან ის მართლაც ასეთი იყო და აგენტობას ნამდვილად ვერ დავაბრალებ, ამიტომ, როცა ვინმე მის დაკავებაზე საუბრობს, კარგად დავფიქრდეთ, ეს ქმედება რას გამოიწვევს — სამართლიანობას აღვადგენთ თუ ევროპასთან ინტეგრირების მიმართულებით ხელს შეგვიშლის. ჩემი აზრით, სააკაშვილის დაკავებაზე უკეთესი იქნება, თუ ქვეყანაში ისეთი ცხოვრების პირობებს შევქმნით, რომ ნაციონალების მმართველობა ხალხს გადაავიწყდეს.

**— იმ ადამიანებს რას უპასუხებთ, რომლებიც ნაციონალებს წამებასა და ზეწოლაში ადანაშაულებენ?**

— კი ბატონო, ვიღაც ფიქრობს, არაფერი გვინდა, ბალახს შევჭამთ, ოღონდ სააკაშვილი ციხეში იჯდესო. თუ ვინმეს ჰგონია, რომ სააკაშვილს ხელს ვაფარებ, ცდება. უბრალოდ, ვამბობ, რომ ამ მიმართულებით დასავლეთის რეაქცია მკვეთრად უარყოფითი იქნება. ჩვენი პარტნიორები ჯერ კიდევ ფიქრობენ, რომ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში სააკაშვილის პლუსები უარყოფით მხარეებს აჭარბებს. ეს სიმართლეა, რომელსაც ვერსად გავექცევით.

**— სიმართლეა ისიც, რომ გიორგი მარგველაშვილსა და ირაკლი ღარიბაშვილს შორის დაპირისპირებაა?**

— პრეზიდენტსა და მთავრობას შორის კონსტიტუციური დაპირისპირებაა, რომლის მიზეზებიც მოქმედი კონსტიტუციის ავტორებს უნდა მოვკითხოთ. გიდასტურებთ, რომ მათ შორის წინააღმდეგობა არსებობს, თუმცა ეს პიროვნული კი არა, კონსტიტუციური უთანხმოებაა, რომელიც ბოლოს და ბოლოს, უნდა გასწორდეს. რაც შეეხება გუნდში შესაძლო დაპირისპირებას, მსგავსი არაფერი მსმენია. თუ ერთმანეთს ჩემგან მალულად ჭამენ, არ ვიცი.

**— ითქვა, რომ ანზორ ჩუბინიძე სახელმწიფო დაცვის უფროსის თანამდებობას ღარიბაშვილთან კონფლიქტის გამო ტოვებს.**

— ეს გუნდის პრობლემაზე არ მიუთითებს. ჩუბინიძე თანამდებობრივი პირია. ვიღაც წავა, ახალი მოვა... ეს მართვის პრობლემაა და არა გუნდური დაპირისპირება. სააკაშვილი დღეში ოთხ მინისტრს ცვლიდა, ჩვენ კი ვინც დავნიშნეთ, ისინი გვყავს.

**— თუმცა დავით უსუფაშვილი მთავრობაში ოპტიმიზაციის აუცილებლობაზე საუბრობს...**

— 100%-ით ვეთანხმები. მთავრობის ოპტიმიზაცია უნდა მოხდეს, მით უმეტეს, თუ ერთ ადამიანს აქვს შესაძლებლობა, ორის ნაცვლად იმუშაოს. ზედმეტები უნდა წავიდნენ...

**— მთავრობის ოპტიმიზაცია სამინისტროების გაერთიანებას გულისხმობს თუ დეპარტამენტების შემცირებას?**

— სხვადასხვა სამინისტროში განსხვავებული ვითარებაა, თუმცა ყველა მათგანში ზედმეტი კადრია და რაოდენობის შემცირება შესაძლებელია. ოპტიმიზაციის შესაძლებლობა ყველას ექნება.

## ვერსიანიუსი

### როგორ აპირებს გიორგი ბადაშვილი გახმაურებული საქმეების გამოძიებას



საქართველოს მთავარი პროკურორი გიორგი ბადაშვილი მუშაობას უკვე შეუდგა, თანამშრომლებს შეხვდა და საზოგადოებასაც უკვე თავისი გეგმები: **„უპირველეს ყოვლისა, მსურს, მადლობა გადავუხადო საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს და იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს იმ უდიდესი ნდობისთვის, რომელიც გამომიცხადეს ქვეყნისთვის ამ უმნიშვნელოვანეს თანამდებობაზე დანიშვნით. ამავდროულად, სრულად ვაცნობიერებ იმ მაღალ მოთხოვნებსა და მოლოდინს, რაც დღეს პროკურატურის მიმართ საზოგადოების მხრიდან არსებობს და მზადყოფნას გამოვთქვამ პროკურატურაში არსებული პროფესიონალი კადრების გვერდით დგომით, გავამართლო არსებული მოლოდინი. საქართველოს პროკურატურამ ბოლო პერიოდში საკმაოდ რთული გზა გაიარა, თუმცა, არსებული რეალობის გათვალისწინებით, კვლავ საკმაოდ რთული გამოწვევების წინაშე დგას. ჩემი, როგორც მთავარი პროკურორისა და პროკურატურის თითოეული თანამშრომლის მუშაობა მიმართული იქნება საზოგადოების უსაფრთხოებისა და სამართლიანობის დაცვისკენ. ყურადღება უნდა მიექცეს სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების სტანდარტების ამაღლებას და მტკიცებულებების მოპოვების გზების დახვეწას, რაც პროკურატურის წარმოებაში გახმაურებული საქმეების მრავლად არსებობის პირობებში, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იქნება. ასევე, უნდა ამაღლდეს თითოეული საქმის გამოძიებისას საპროკურორო ზედამხედველობისა და საპროცესო კონტროლის ხარისხი, რაც შემდგომში სასამართლო სტადიაზე მყარ საფუძველს შექმნის პროკურორების მხრიდან სახელმწიფო ბრალდების კვალიფიციურად განსახორციელებლად. ხსენებული გამოწვევების დაძლევისთვის, აუცილებელი იქნება პროკურატურაში არსებული კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი და გადასამზადებელი ღონისძიებების გეგმურად გატარება. უმნიშვნელოვანესი იქნება ასევე, ახალგაზრდა, პერსპექტიული კადრების მოძიება და გამოცდილი, კვალიფიციური კადრების შენარჩუნება. ვფიქრობ, რომ პროკურატურამ ყურადღება უნდა გაამახვილოს საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებასა და სხვა ქვეყნების პროკურატურების გამოცდილების გაზიარებაზე, რაც გაცილებით ეფექტურს გახდის ჩვენს საქმიანობას. ასევე, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პარალელურად, გასამახვილებელია ყურადღება დანაშაულის პრევენციაზე, რისთვისაც პროკურატურა ვფიქრობ, უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შეეცადოს განსაკუთრებით მოზარდ თაობაში აამაღლოს მართლწესრიგის შეგრძნება. აღვნიშნო, რომ მთავარი პროკურატურა გააგრძელებს სამართლიანობის დამკვიდრებისათვის ბრძოლას, რაც თავის მხრივ ადამიანის უფლებათა დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას უზრუნველყოფს“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

# „ვცდილობთ, რუსებს ვაჩვენოთ, რომ გაერთიანებული საქართველო უფრო საინტერესოა მათთვის, ვიდრე დანაწევრებული“

## ინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტთან



**თურქული საზოგადოებრივი მაუწყებელი TRT გიორგი მარგველაშვილს ესაუბრა:**

**— ბატონო პრეზიდენტო, ზოგადად, პირველი ვიზიტები სიმბოლურ ხასიათს ატარებს, მაგრამ საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, მათ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობისთვის ამ ვიზიტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს?**

— რა თქმა უნდა! თურქეთში ვიზიტი განპირობებულია ბევრი ფაქტორით. უპირველეს ყოვლისა, იმ სამაგალითო ურთიერთობით, რომელიც რეგიონში ჩვენ და თურქეთმა ჩამოვაყალიბეთ. ბოლო ოცი წლის განმავლობაში ჩვენი ურთიერთობა პოზიტივიდან მხოლოდ იზრდება. ესაა ორმხრივი ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის, მაგრამ შედეგები პოზიტიურია არამხოლოდ ჩვენი ქვეყნებისთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის და მის ფარგლებსმიღმაც. ამას გარდა, თურქ ხალხთან გვაქვს ემოციური კავშირიც. რა თქმა უნდა, გვექნება ვიზიტი რეგიონის ყველა ქვეყანაში, მაგრამ გვსურდა, ხაზგასმით აღგვენიშნა ის სამაგალითო ურთიერთობა, რომელსაც მხოლოდ ზრდის პოტენციალი და პოზიტივი აქვს მომავალში. გვსურდა, ამისთვის მადლიერება გამოგვეხატა ჩვენი თურქი კოლეგებისა და თურქი ხალხის მიმართ.

**— შეიძლება, ეს გზავნილად მივიჩნიოთ? პრეზიდენტად არჩევისთანავე გაემგზავრეთ ლიტვაში, სადაც მოხდა ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება და შემდეგ ჩამობრძანდით თურქეთში. ეს საქართველოს სტრატეგიული არჩევანია?**

— ბუნებრივია, ჩვენი ქვეყანა — არამხოლოდ პოლიტიკური სპექტრი, არამედ მთელი მოსახლეობა — გაერთიანებულია იმ ფასეულობების ირგვლივ, რომელსაც ჰქვია ევროპულ ერთა თანამეგობრობაში გაერთიანება. ამ თვალსაზრისით, გვქონდა უაღრესად მნიშვნელოვანი ვიზიტი ვილნიუსში, სადაც მოხდა ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება. ეს ის მნიშვნელოვანი ორიენტირია, რომელიც გვაქვს და ამავე კონტექსტში უაღრესად მნიშვნელოვანია ის თანამშრომლობა, რომელსაც ვაგებთ თურქ კოლეგებთან ერთად. რეალურად, ეს თანამშრომლობა ერთმანეთს ავსებს და კავკასიის რეგიონს ხდის უფრო მშვიდობიანს, ბევრად ორიენტირებულს წარმატებასა და ჩვენი ურთიერთობის გაღრმავებაზე, ეკონომიკურ და იმ პროექტებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია არა მარტო ამ რეგიონის ქვეყნებისთვის, არამედ გლობალურად, ევროპისა და აზიის მთელი კონტინენტისთვის. აქედან გამომდინარე, ამ ორივე ვიზიტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ისინი ავსებს ერთმანეთს და არის ორიენტირებული ბევრად უკეთეს თანამშრომლობაზე ევროპასა და აზიას შორის.

**— როგორც აღნიშნეთ, საქართველოსა და თურქეთს შორის სანიმუშო ურთიერთობაა და თითქმის არ არსებობს პრობლემა არც სახელმწიფოებს, არც მთავრობებსა და არც ხალხს შორის. შეიძლება ამაზე უკეთესი ურთიერთობა, თუ საკმარისია ის დონე, რომელსაც უკვე მივაღწიეთ?**

— თქვენს პრეზიდენტთან შეხვედრისას, სწორედ ამაზე გავამახვილეთ ყურადღება — უკეთესი ყოველთვის მოითხოვს უფრო მეტს. ორივე ვთანხმდებოდით, რომ უკეთესი ფორმატი მეტი მუშაობისკენ გვიბიძგებს. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ თურქული მხარის ინიციატივები ყოველთვის მიმართული იყო რეგიონის ერთიანი, წარმატებული ხედვისკენ, პარტნიორების უფლებებისა და ინტერესების აღიარებაზე. ამ პროექტების, ამ ინიციატივების შედეგად უნდა მოეგო არა რომელიმე ერთ მხარეს, არამედ ყველას ერთდროულად და მეტიც, ამ წარმატებული პროექტების შედეგი სხვა ერებმაც უნდა ნახონ. ვფიქრობ, თურქი კოლეგების ეს მიდგომა, ეს ინიციატივა და ლიდერობა მისაბაძია. ქართული სახელმწიფო განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ამ პროექტებს სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ მათი არსი ძალიან თანამედროვეა და ორიენტირებულია ყველას წარმატებაზე. უდიდესი მონდომებითა და ყურადღებით ვართ ჩართულნი იმ ინიციატიცების განხორციელებაში, რომლებსაც მხოლოდ ზრდის პერსპექტივა აქვს. ამასთან, ვხედავთ, რომ თურქეთის სახელმწიფო საგანგებო ყურადღებას უთმობს ჩვენს ინტერესებს, ჩვენს მშვიდობიან განვითარებას, მხარს უჭერს ჩვენი პრობლემების მშვიდობიან გადაწყვეტას... ასე რომ, ამ ურთიერთობას მხოლოდ ზრდის პოზიტიური პერსპექტივა აქვს, რაც პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრების დროსაც გამოჩნდა და თავი ისე ვიგრძენი, როგორც საკუთარ სახლში, მეგობრებს შორის. ეს იყო უაღრესად პოზიტიური და ემოციურად დატვირთული შეხვედრები.

**— რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი თემები მათთან შეხვედრისას?**

— ბუნებრივია, განვიხილეთ ძალიან მნიშვნელოვანი თემები, რომლებზეც მოვახდინეთ არსობრივი კონცენტრაცია. უპირველესად, ეს იყო გლობალური, ენერგეტიკული, სატრანსპორტო პროექტები, რომლებსაც ასე წარმატებით ვახორციელებთ; შევთანხმდით, რომ ეს პროექტები უნდა გაძლიერდეს, განვითარდეს, გაღრმავდეს და გაგრძელდეს. შევთანხმდით, რომ უნდა ვიყოთ თამამი, გახსნილი ახალი ინიციატივებისთვის. ამ ეკონომიკური პროექტების პარალელურად, განვიხილეთ ის პრობლემები, რომლებიც არის რეგიონში. ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა ის საკითხია, რომელშიც თურქი კოლეგები აქტიურად გვიჭერენ მხარს. მადლობელი ვარ იმ სტაბილური და პრინციპული პოზიციისთვის, რომელიც თურქეთის სახელმწიფოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხთან მიმართებაში აქვს. პერსპექტივაში, ეს იძლევა ამ საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრის შესაძლებლობას სწორედ იმიტომ, რომ ჩვენი მეგობრები და მნიშვნელოვანწილად, თურქეთი ასეთი პრინციპულია და გვიდგას მხარში ჩვენი ტერიტორიული საკითხების ირგვლივ. აი, ეს გვაძლევს იმედს, რომ მომავალში პრობლემები გადაწყდება და რეგიონი უფრო მშვიდობიანი იქნება.

ასევე ვისაუბრეთ ძალიან საინტერესო და პოზიტიური, კულტურული გამოცდილების შესახებ, რასაც ახლაც ვნერგავთ ჩვენს თურქ კოლეგებთან ერთად; ვილაპარაკეთ იმ პოლიტიკის თაობაზეც, რომელსაც თურქეთი აქტიურად უჭერს მხარს — საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური განვითარების გეზს. თურქეთი მხოლოდ დადებით პოტენციალს ხედავს ჩვენი განვითარების პერსპექტივაში. როდესაც ვვითარდებით სწორი გზით, როდესაც ჩვენი თავისუფალი არჩევანი ორიენტირებულია ევროპისა და ევროატლანტიკური სივრცისკენ, თურქეთი ამაში მხოლოდ დადებითს ხედავს.

ვისურვებდი, ყველა ქვეყანა ასეთი გახსნილი პოზიციიდან აფასებდეს საქართველოს მომავალს და ამ მომავალში მხოლოდ შესაძლებლობებს ხედავდეს.

**— თუ შეიძლება, საქართველოს შესახებ გვესაუბრეთ. ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში ყველაზე დემოკრატიული ქვეყანაა საქართველო. ბოლო არჩევნებიც დემოკრატიულად გაიმართა. რა არის ასეთი გარდაქმნის მიზეზი — ხალხი, პოლიტიკა თუ სხვა რამ? რატომ არის საქართველო უფრო წარმატებული, დემოკრატიის თვალსაზრისით, ვიდრე სხვა ქვეყნები?**

— უპირველესად, ამის მიზეზი არის ხალხი, რადგან ხელისუფლების ასეთი მშვიდობიანი ცვლილება, რაც სრულად შეესაბამებოდა ევროპულ სტანდარტებს, იყო ქართველი ხალხის ნება. ეს ნება ყველაზე კარგად გაიგო და შეასრულა ჩვენმა პოლიტიკურმა კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ“ და, უპირველესად, მისმა ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა. მან ზუსტად გაუგო ქართველ ხალხს, თუ რა ფორმით, მშვიდობიანად და თანამედროვე მეთოდებით გვსურდა ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გაგრძელება. ბუნებრივია, ეს ცვლილება მხოლოდ პოტენციალის შემცველია ჩვენთვის, რადგან ახლა ბევრად გახსნილი ვართ, როგორც მედიის, ისე ბიზნესისა და პოლიტიკური სისტემების თვალსაზრისით; არა მარტო ჩვენი, არამედ სხვა ქვეყნის მოქალაქეებისთვისაც. საქართველო მზადაა, საქართველო ღიაა თანამშრომლობისთვის კულტურის, ბიზნესისა თუ სხვა მიმართულებით. ეს გახსნილობა, უპირველესად, თურქეთისა და ჩვენი თურქი კოლეგების მიმართ ვლინდება.

**— არჩევნებამდე, მასმედიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას თქვით, რომ საქართველო საბჭოთა კი არა, უკვე ევროპული ქვეყანაა. შეიძლება, საქართველო შემობრუნდეს ევროპული გზიდან? პარაფირება უკრაინამაც მოახდინა, მაგრამ შეიცვალა ვითარება... საქართველოში თუ შეიძლება უკრაინის მსგავსი მოვლენების განვითარება?**

— რეალურად, საქართველოში ამ არჩევნების შედეგად მოხდა დემოკრატიული პროცესის კონსოლიდაცია, რაც უმნიშვნელოვანესია. ქართველმა ხალხმა დაიჯერა, რომ ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელია დემოკრატიული არჩევნებით. ეს, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ ხელისუფლებას უნდა მოსთხოვო კიდეც პასუხი და თუ არ მოგწონს, უნდა შეცვალო. რა თქმა უნდა, დემოკრატია ქართველ ხალხს სჭირდება თავისთვის და არა მხოლოდ ევროპის ან სხვა ქვეყნებისთვის საჩვენებლად. ვილნიუსის სამიტი იყო უმნიშვნელოვანესი, რადგან იქ დაფიქსირდა და მატერიალიზდა ის, რაც რეალურად მოხდა საქართველოში — ქართველი ხალხის სურვილმა მიიღო ფორმა. ბუნებრივია, ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებიდან ხელმოწერამდე გარკვეული დროა. ქართველი ხალხის ნებას აღარაფერი შეცვლის, რადგან ურყევია და არის არა რომელიმე პოლიტიკური ძალის, მიუხედავად იმისა, რომ ამ არჩევანში გაერთიანებულია თითქმის მთელი პოლიტიკური სპექტრი, არამედ — ხალხის. ეს ნება დღეს არ გამოვლენილა, კარგა ხნის განმავლობაში ჩვენი კულტურის ნაწილი იყო. შესაძლებელია, იყოს ხელშემშლელი ფაქტორები, მაგალითად, პრობლემები, რომლებიც გვაქვს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, თუმცა გვაქვს ნიშანი, რომ ჩვენი პარტნიორები და მეგობრები მთელ მსოფლიოში, მტკიცედ და მყარად დგანან საქართველოს არჩევანის გვერდით. ბუნებრივია, თუ გავაერთიანებთ ჩვენს რეალურ არჩევანს, საზოგადოების არჩევანს და მოვახდენთ ამ საერთაშორისო ინტერესის კონცენტრაციას საქართველოზე, რეალური არ იქნება საშიშროება, რომ ქართველი ერის ნებაზე რამენაირად მოხდეს ზეგავლენა. უპირველესად, ჩვენ ვართ ერი, რომელსაც მრავალი საუკუნე უცხოვრია ამაყად და ყოველთვის, ურთულესი პოლიტიკური ვითარებისა და ისტორიული კატაკლიზმების დროს გამოუხატავს საკუთარი არჩევანი.

**— როგორ ფიქრობთ, რუსეთიც ვერ შეცვლის? პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი არათუ არ წავა კავკასიიდან, არამედ გაძლიერდება კიდეც. შესაძლებელია ქვეყანას ერთდროულად ჰქონდეს ევროპული მიმართულება და კარგი ურთიერთობა რუსეთთან?**

— მთელ ევროპას აქვს კარგი ურთიერთობა რუსეთთან. შესაბამისად, შეიძლება იყო ევროპული ორიენტაციისა და გქონდეს კარგი ურთიერთობა რუსეთთან.

**— მაგრამ ევროპული ქვეყნები არ არიან ყოფილი საბჭოთა ქვეყნები.**

— ბალტიისპირეთის ქვეყნები პოსტსაბჭოთა ქვეყნებია... ვცდილობთ, რუს პოლიტიკოსებს ვაჩვენოთ, რომ სტაბილური, დემოკრატიული, ეკონომიკურად წელშიგამართული, დაცული საქართველო უფრო საინტერესოა რუსეთისთვის და ხელს უწყობს მის საგარეო ინტერესებს, ვიდრე დანაწევრებული და არეული. ჩვენ რეალისტურ პოლიტიკას ვაწარმოებთ. გვესმის, რუსეთს აქვს თავისი ინტერესები, მაგრამ მათი გააზრება და მოსმენა შეიძლება მხოლოდ ერთი დაშვებით — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღიარონ და პატივი სცენ მას. ეს არაა გამორიცხული. რუსეთის ინტერესებისთვის საინტერესო უნდა იყოს სტაბილური საქართველო და გვჯერა, ჩვენი მეგობრების, რაციონალური დიალოგის მეშვეობით, რუსული მხარე დაინახავს, რომ ტერიტორიულად მთლიანი საქართველო, რომელიც ევროატლანტიკური პროცესის ნაწილია, მხოლოდ საინტერესოა მათთვის და არა პირიქით. ამ მიმართულებით გადადგმულიც გვაქვს ქმედითი ნაბიჯები, გვაქვს ჟენევის ფორმატი, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს რუსეთთან უაღრესად მძიმე საკითხებზე საუბარი. ეს საერთაშორისო ფორმატია და მასში მონაწილეობენ ჩვენი პარტნიორები, მეგობრები მთელი მსოფლიოდან. იმედი გვაქვს, რომ ეს ფორმატი შედეგს გამოიღებს. გვაქვს ასევე პრაღის ფორმატი, სადაც ჩვენი საგანგებო წარმომადგენელი ესაუბრება რუს დიპლომატებს სწორედ იმ თემებზე, რომლებზეც შეგვიძლია შევთანხმდეთ. ესაა ეკონომიკური საკითხები, კულტურული ურთიერთობები. ეს ფორმატი, ბუნებრივია, ბევრად წარმატებულ რეჟიმში მიმდინარეობს. იმედი გვაქვს, ის ემოციური ფონი, ის დაძაბულობა, რომელიც ბუნებრივად არსებობს, დეესკალაციას განიცდის, მის ფონზე კი ნელ-ნელა დავიწყებთ საუბარს, თუ როგორ შეიძლება გამოვიდეთ შექმნილი ვითარებიდან და მოვაგვაროთ წარმოშობილი პრობლემა, რომელიც ჩვენი ღრმა რწმენით, არავის აწყობს.

**— რა დონით იქნება საქართველო სოჭის ოლიმპიადაში წარმოდგენილი?**

— დიდ პატივს ვცემთ ოლიმპიურ მოძრაობას, სულისკვეთებას და თუ რამენაირად მოვიაზრებთ ამ პროცესს, მხოლოდ პოზიტივის შემომტანად ერთა შორის ურთიერთობის თვალსაზრისით. შესაბამისად, ჩვენი გუნდი იქ წარმოდგენილი იქნება, რომელიც, იმედი მაქვს, წარმატებით იასპარეზებს და ეს იქნება კიდევ ერთი ნაბიჯი მთელი მსოფლიოს მასშტაბით პოზიტიური, დადებითი და სიკეთეზე ორიენტირებული ემოციის შექმნისა.

**— დიპლომატიური და კარგი პასუხია, მაგრამ გეკითხებოდით პოლიტიკურ მონაწილეობაზე. თქვენ დაესწრებით ღონისძიებას?**

— ვფიქრობ, ამ ეტაპზე, ეს შედარებით რთულია, მაგრამ თვითონ პროცესს ვუჭერთ მხარს, პატივს ვცემთ მას და, შესაბამისად, ქართული გუნდი და არა საქართველოს დელეგაცია იქნება წარმოდგენილი ოლიმპიადაზე. ვფიქრობ, ესეც, გარკვეულწილად, ეხმარება პროცესების დეესკალაციას და ნელ-ნელა შექმნის ფონს, რომ საკითხები განვიხილოთ უფრო მშვიდ და რაციონალურ კონტექსტში.

*„ნიუსპოსტსი“*

# აარასააპარლამენტო ოპოზიციამ, ნაციონალებთან ერთად, კოალიცია უნდა შექმნას

## პაატა დავითაიას სკანდალურ პროგნოზები



რუსუდან შელია
557-100-768

**იმ ფონზე, როცა ქართველი სპორტსმენები სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე გასამგზავრებლად ემზადებიან, რუსულმა მხარემ ფსოუსთან საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიის სიღრმეში 11 კმ-ით გადმოწია. პარალელურად, ქართული მხარისთვის ბუნდოვანი რჩება ოსურ მედიაში გავრცელებული სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ფილიპ ლეფორის განცხადება — „სამხრეთ ოსეთის სტატუსი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, რესპუბლიკის მოსახლეობამ უკვე დიდი ხანია განსაზღვრა და ამის შეცვლა თითქმის შეუძლებელია“. ქვეყნის საგარეო მიმართულებით არსებულ საფრთხეებსა და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე „ვერსიას“ „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი პაატა დავითაია ესაუბრა.**

— მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ტერიტორიის სიღრმეში საზღვრის 11 კილომეტრით გადმოწევა საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ განხორციელებული მიზანმიმართული ქმედებაა, საგარეო საქმეთა სამინისტრო სრული სიმშვიდით განმარტავს, ქართული მხარე აღშფოთების გამოხატვას, მხოლოდ ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ აპირებსო. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელი ვახტანგ ყოლბაიაც, რომელიც არძინბას საუკეთესო მოსწავლე აღმოჩნდა, უსაფრთხოების ოპერაციებში კაზაკების ჩართვას გამართლებულად მიიჩნევს. ასე რომ, სანამ მსგავსი უსუსური სახელმწიფო მოხელეები მაღალ თანამდებობებს იკავებენ, ამ ქვეყანას მომავალი არ ექნება. თუმცა ხაზგასმით ვაცხადებ, ხელისუფლება ძალიან სწრაფად შეიცვლება, საგარეო საქმეთა მინისტრსა და ვახტანგ ყოლბაიას კი გაუაზრებელი განცხადებებით სეპარატისტების გაძლიერების მხარდაჭერისთვის პასუხს მოსთხოვენ.

**— საქართველოს პრეზიდენტმა საზღვრის გადმოწევის ფაქტს შემაშფოთებელი უწოდა. როცა სოჭის ოლიმპიადაზე გამგზავრება გადაწყვეტილია, ამ მიმართულებით მწვავე კრიტიკა გამართლებული იქნება?**

— თუ ხელისუფლება ოლიმპიური თამაშების გამო, სახელმწიფო საზღვრის შეცვლას გამართლებულად მიიჩნევს, მინიმუმ, უმეცრებასთან გვაქვს საქმე. რაც შეეხება მარგველაშვილს, კარგია, თუ მან ამ პროცესს შემაშფოთებელი უწოდა. იმედი მაქვს, მომავალში, რუსეთის ქმედებებს აღმაშფოთებელსაც უწოდებს, თუმცა დარწმუნებული ვარ, გამოძიება დაინტერესდება — რატომ ხდებოდა ვითარების შერბილება მაშინ, როცა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გარეძალის ჩარევით იცვლებოდა?! ეს დანაშაულია და ვიმეორებ, ამ საქმეში პასუხისმგებელ თითოეულ პირს საზოგადოება შესაბამისად დასჯის.

**— უკვე მეორედ ემუქრებით ხელისუფლებას...**

— არავის ვემუქრები, ეს ბუნების კანონია. სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის ჩინოვნიკებს პასუხს ხალხი მოსთხოვს. ბუნებრივია, როცა ხელისუფლება ვაზელინწასმულ ქმედებებს ახორციელებს, რუსეთი მაქსიმალურად ისარგებლებს.

**— საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის ბუნდოვანი დარჩა ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის, ფილიპ ლეფორის განცხადება. არსებობს ალბათობა, რომ დასავლეთის განწყობა, ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, შეიცვალა?**

— სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის, ფილიპ ლეფორის განცხადება ქართული მხარისთვის ჯერ კიდევ ბუნდოვანი რომაა, უკვე საგანგაშო ტენდენციაა. ძირითადი პრობლემა საქართველოს ხელისუფლებაშია, მაგალითად, თედო ჯაფარიძე რუსული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში ისე საუბრობს, გეგონება, ლავროვის თანაშემწე იყოს... ასე რომ, არაფერი მიკვირს. თუ „ქართული ოცნება“ რუსეთთან შერბილებულ პოლიტიკას გამართლებულად მიიჩნევს, მარტივ კითხვას ვსვამ: რას მიაღწია ამ მეთოდით ნადიბაიძემ ან გიორგაძემ? პირიქით, ყველაფერი დავკარგეთ. დღეს არც იმ კახელი გლეხისთვის შეცვლილა რამე, რომელსაც რუსეთში ღვინის გაყიდვის იმედი ჰქონდა. რეალურად, საქართველოდან ღვინო ერთ კომპანიას გააქვს, შესაბამისად, ერთი ადამიანი მდიდრდება. სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ მხოლოდ ლარის გაიაფება მოახერხა, ამ ყველაფერს კი საზოგადოება მათ არ აპატიებს. არ უნდა დაგვავიწყდეს კიევის მოვლენებიც, რომელიც საქართველოზე საკმაოდ დიდ გავლენას მოახდენს. ვფიქრობ, კიევში ევროპული ღირებულებები გაიმარჯვებს და ხელისუფლებაც შეიცვლება.

**— უკრაინაში ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში, პარაფირების ხელმოწერამდე რუსეთის მხრიდან პროვოკაციებს ელოდებით?**

— პირველ რიგში, უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით, გამოკვეთილი პოზიციის არარსებობა, საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის პროცესში წინ საკმაოდ ცუდად დახვდება. პარაფირების ხელმოწერამდე, საქართველოს მძიმე პროცესები ელის. რუსეთმა ქვეყნის ანექსია არამხოლოდ სამხედრო ძალით, საქართველოში რუსული ფულის შემოდინებითაც დაიწყო. უამრავი რუსი ბიზნესმენი ჩამოვიდა, რომელიც ფინანსების დახარჯვას რუსული ინტერესების გატარების მიზნით შეეცდება — სამუშაო ადგილები, შესაძლოა, გაჩნდეს, თუმცა ქართველებს სწორედ ამ ფულით მოგვახრჩობენ. ამ ფონზე კი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი აცხადებს, 2014 წელს მაპ-ს მივიღებთ თუ არა, მნიშვნელობა არ აქვსო. მსგავსი მიდგომა ევროპელისთვის აბსოლუტურად მიუღებელია.

**— თუმცა ირაკლი ალასანია ნატო-ს სამხედრო კომიტეტის დაგეგმილ ვიზიტს ახალი ხელისუფლების წარმატებად მიიჩნევს...**

— რაც ირაკლი ალასანია პოლიტიკაში მახსოვს, მუდმივად აცხადებს, დიდ ნაბიჯებს ვდგამთ და წარმატებებს ვაღწევთო, თუმცა შედეგი ყოველთვის განსხვავებულია. მიუხედავად ყველაფრისა, „ქართულ ოცნებაში“ ირაკლი ალასანია არსებულ რეალობას სხვებზე უკეთ აცნობიერებს და სწორედ ამიტომ, ჩემი ინფორმაციით, მის ირგვლივ საკმაოდ ნეგატიური ინტრიგები იხლართება.

**— დიდი ხანია, ირაკლი ალასანიასა და გუნდის სხვა წევრებს შორის არსებულ დაპირისპირებაზე საუბრობენ, თუმცა მინისტრი პოსტს ინარჩუნებს. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?**

— პოსტს ინარჩუნებს, მაგრამ ნათელია, რომ მისი პროგრესულობა ბევრს აღიზიანებს და ნამდვილად არ გამოვრიცხავ, ერთ მშვენიერ დღეს, მინისტრობიდან გადააყენონ კიდეც. „ქართული ოცნება“ ცდილობს, ნაციონალურ მოძრაობას დაემსგავსოს და წინა ხელისუფლების მიერ შექმნილი სისტემა საკუთარ თავზე მოირგოს. ამიტომაც არაფერი შეცვლილა საარჩევნო კოდექსის მიმართულებით და არც არასაპარლამენტო ოპოზიციის შეთავაზებები გაითვალისწინა ვინმემ, თუმცა ხელისუფლება ამას საკმაოდ უნიჭოდ ახორციელებს. ოთარ ფარცხალაძის საკითხმა გვაჩვენა, რომ დღეს ქართული პოლიტიკის ცენტრი ვანო მერაბიშვილის საკანია, რომელმაც ციხიდან მთავარი პროკურორის მოხსნა შეძლო. ასე რომ, „ქართული ოცნება“ მწარედ ცდება, თუ ფიქრობს, რომ ნაციონალური მოძრაობა სუსტია.

**— როცა ხელისუფლების შეცვლაზე საუბრობთ, ქვეყნის სათავეში ნაციონალური მოძრაობის დაბრუნებას გულისხმობთ?**

— მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლების შეცვლას ვერ მოახერხებს, ამიტომ ლოგიკური იქნება, თუ, მომავალში, ოპოზიცია კოალიციას შექმნის, რომელშიც ნაციონალებიც გაერთიანდებიან.

**— ფიქრობთ, არასაპარლამენტო ოპოზიცია იმ პარტიასთან გაერთიანდება, რომელსაც ცხრა წლის განმავლობაში ებრძოდა?**

— კოალიციის შექმნაზე ჯერ არავინ საუბრობს, მხოლოდ თეორიულ შესაძლებლობებს განვიხილავ. „ქართული ოცნება“ ისეთ ნაბიჯებს დგამს, რომ ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკური ძალებისთვის მისაღები გახდება. მოსწონს თუ არა ვინმეს, ნაციონალური მოძრაობა საპარლამენტო ოპოზიციაა და ეს რეალობა მმართველმა კოალიციამ თავად შემოგვთავაზა, თანაც ჩემთვის ბრძოლაში „მინუს ერთი“ არ არსებობს. კიდევ ერთი ფაქტი, რაც „ქართული ოცნების“ მმართველობის სწრაფ დასასრულზე მიანიშნებს: ნაციონალურ მოძრაობას საარჩევნო ბარიერის 30%-მდე დაწევა მმართველობის მერვე წელს დასჭირდა, ხელისუფლებამ კი ამ მიმართულებით ფიქრი ერთი წლის შემდეგ დაიწყო. ასევე საკმაოდ დიდი დრო დასჭირდათ მთავარი პროკურორის დასანიშნად, რადგან სათადარიგო კადრები არ ჰყავთ. როცა ვანო მერაბიშვილი უშიშროების საბჭოს მდივანი იყო, განაცხადა — პროფესიონალებს კი არა, ერთგულ ხალხს ვეძებთო. ირაკლი ღარიბაშვილიც ზუსტად იგივე რეჟიმში მუშაობს და სერიოზულ შეცდომებსაც უშვებს.

**— თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას სხვა პარტიებთან ერთად გეგმავთ თუ ძალებს დამოუკიდებლად მოსინჯავთ?**

— თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად მივიღებ, თუმცა მერობისთვის ბრძოლას არ ვგეგმავ.



## შსს-მ უკანონო იარაღი ამოიღო

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს მე-11 განყოფილების და ამავე სამმართველოს უბნის ინსპექტორების განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1979 წელს დაბადებული ალექსი ხ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა უკანონოდ შეიძინა და ნათესავის საცხოვრებელ ბინაში უკანონოდ შეინახა „იჟ-75“-ის ტიპის პისტოლეტი, „ვოლტრა პროფესიონალის“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი და 7 ვაზნა. სამართალდამცველებმა აღნიშნული ბინის ჩხრეკისას უკანონო იარაღი ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*



## უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი დავით სუჯაშვილი იქნება

საქართველოს პრემიერ-მინისტრთან მოქმედი უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი დავით სუჯაშვილი იქნება რომელიც, ამ თანამდებობას, დაზვერვის სამსახურის უფროსის თანამდებობასთან ერთად შეითავსებს. დავით სუჯაშვილმა დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე გელა ბეჟუაშვილი 2013 წლის 27 დეკემბერს შეცვალა.

დაზვერვის სამსახურის უფროსი დავით სუჯაშვილი 2012 წლიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი იყო, 1999–2012 წლებში კი საქართველოს დაზვერვის სამსახურში მუშაობდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო თავისი შემადგენლობით, ამოცანებით, უფლებამოსილებით თითქმის იგივეა, რაც პრეზიდენტის სათათბირო ორგანო — ეროვნული უშიშროების საბჭო.

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს ზუსტად ის ფუნქციები აქვს, რაც დღეს ეროვნული უშიშროების საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება.

*„ინტერპრესნიუსი“*



## სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსი თანამდებობას ტოვებს

ანზორ ჩუბინიძე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის თანამდებობას, პირადი გადაწყვეტილებით, თვის ბოლოს დატოვებს. სდსს-ს ვებ-გვერდზე განთავსებული განცხადების თანახმად: **„ანზორ ჩუბინიძე მიმდინარე თვის ბოლოს მართლაც აპირებს, დატოვოს დაკავებული თანამდებობა ახალ სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით. ამის შესახებ მან უკვე აცნობა საქართველოს პრემიერ-მინისტრს. სრულიად უსაფუძვლოა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს, არსებობს რაიმე დაპირისპირება. დაბეჯითებით ვაცხადებთ, რომ მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია“.**

*„ინტერპრესნიუსი“*




## მინისტრები 6 300-ის ნაცვლად 5 000 ლარს მიიღებენ

მინისტრებს სახელფასო დანამატი უმცირდებათ. საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, პრემიერმა ამის შესახებ გადაწყვეტილება ხარჯების შემცირებისა და მინისტრთა ხელფასებთან დაკავშირებით საზოგადოებაში გაჩენილ კითხვებზე რეაგირების მიზნით მიიღო: **„ხარჯების შემცირებისა და მინისტრთა ხელფასებთან დაკავშირებით საზოგადოებაში მრავალგზის გაჩენილ კითხვებზე რეაგირების მიზნით, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით მინისტრთა კაბინეტის წევრებს სახელფასო დანამატი შეუმცირდებათ. ნაცვლად 6300-სა, მინისტრთა სახელფასო სარგო, სახელფასო დანამატთან ერთად 5000 ლარი გახდება“.**

შესაბამის ბრძანებას პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ხელი უკვე მოაწერა.

***„ინტერპრესნიუსი“***



## შსს-ს მომსახურების სააგენტოს ახალი დირექტორი ჰყავს

ეს თანამდებობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საფინანსო და სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის ყოფილმა მოადგილემ ოთარ დანელიამ დაიკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ოთარ დანელიას საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კერძო სტრუქტურებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. მან მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებს პირველივე შეხვედრაზე მადლობა გადაუხადა წარმატებული საქმიანობისთვის და სამომავლო გეგმებსა და პროექტებზე ესაუბრა. მომსახურების სააგენტოს ყოფილი დირექტორი ნინო კობახიძე საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილედ დაინიშნა და სახელმწიფო კანცელარიის მთავრობის ადმინისტრაციად გარდაქმნისა და რესტრუქტურიზაციის პროცესს უხელმძღვანელებს.

***„ინტერპრესნიუსი“***

# 27 იანვრიდან კოოპერატივებს ოფიციალურ სტატუსს მიანიჭებენ

### როგორ დაეხმარება სახელმწიფო გლეხებს და რას ურჩევს მათ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე



მაია მიშელაძე
593-51-90-12

**27 იანვრიდან, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო კოოპერატივებისთვის სტატუსის მინიჭებას დაიწყებს. სტატუსის მისაღებად, დაინტერესებულმა პირებმა სააგენტოს განცხადებით უნდა მიმართონ, სადაც სათანადო დოკუმენტაციაც უნდა წარადგინონ.**

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი მიშელაძის განმარტებით, სტატუსის მისაღებად, დაინტერესებულმა პირებმა უნდა იქონიონ უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი; საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების დამადასტურებელი დოკუმენტი და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდება. იმის გამო, რომ ცალკეულ ფერმერებსა და გლეხებს წესდების შედგენა უჭირთ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტომ წესდების სარეკომენდაციო ფორმა უკვე შეიმუშავა.

გიორგი მიშელაძის თქმით, უახლოეს მომავალში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი www.acda.gov.ge ამუშავდება. მომსახურების გამარტივების მიზნით, სააგენტო ელექტრონულ სერვისს დანერგავს და ფერმერებს შეეძლებათ, რეგიონებიდან ჩამოუსვლელად, სტატუსის მიღების შესახებ განაცხადი ვებგვერდის საშუალებით გააკეთონ: **„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ოფიციალური სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, ფერმერთა და გლეხთა ნებაყოფლობითი გაერთიანება „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ კანონით“ განსაზღვრული შეღავათებითა და სახელმწიფოს ხელშეწყობის პროგრამებით ისარგებლებს. სულ მალე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებითა და ხელისსათესი უზრუნველყოფის პროექტს“ აამოქმედებს. პროექტის მიხედვით, კოოპერატივებს 1 700 ერთეული მოტობლოკი და 2 000 ხელის სათესი შეღავათიანი პირობებით, ან ლიზინგით (გრძელვადიანი იჯარა-გამოსყიდვის უფლებით) გადაეცემათ. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტით“, რაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი, ახალი საწარმოების შექმნას ან უმოქმედო საწარმოს ამუშავებას ითვალისწინებს, ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას კოოპერატივებსაც გავუწევთ. გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი გრანტსაც მიიღებს, ხოლო კოოპერატივებში დასაქმებულებისთვის, უფასო სწავლება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვა პროგრამებიც ამოქმედდება. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ კოოპერატივის ქონება, რომელიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის გამოიყენება, ქონების გადასახადით არ იბეგრება; მოგების გადასახადით არ დაიბეგრება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი და გრანტი; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის არ არის დაწესებული მოგების გადასახადის ზღვარი წლიური ბრუნვის მიხედვით, რომელიც, მაგალითად, შპს-ს შემთხვევაში, 200 000 ლარია“.**

გიორგი მიშელაძის თქმით, მოსახლეობა მზადაა, კოოპერატივებში გაერთიანდეს, რადგან გლეხმა კარგად იცის, რომ ინდივიდუალური საქმიანობით, ეფექტურ შედეგს ვერ იღებს. კოოპერატივში გაწევრიანების შემდეგ, გლეხებს თვითმყოფადობასა და დამოუკიდებლობას არავინ უზღუდავს, მაგრამ სააგენტოს ერთადერთი მოთხოვნა აქვს — კოოპერატივმა ხარისხიანი და ევროსტანდარტის შესაბამისი პროდუქტი აწარმოოს. ეს სტანდარტი ყველამ უნდა დაიცვას, რათა ბაზარზე ორიენტირებული პროდუქცია მიიღონ, რომ შემდგომში მისი რეალიზაციის პრობლემა არ დადგეს. კოოპერატივის ხიბლი ის არის, რომ ძალთა გაერთიანებით, გლეხებს ხარჯები შეუმცირდებათ. თუმცა გიორგი მიშელაძე აცხადებს, რომ მსოფლიოში, კოოპერატივების დამაბრკოლებელ გარემოებად, მათი გაერთიანებისა და ერთად შრომის მენტალური დამოკიდებულება ითვლება, რაც აუცილებლად უნდა გადაილახოს. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ გლეხები წარმატებულ მაგალითებს ნახავენ: **„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო არ განსაზღვრავს იმ სფეროებს, რომლებშიც კოოპერატივები უნდა შეიქმნას. ამის კატეგორიული წინააღმდეგები ვართ. უშუალოდ, გლეხებმა უნდა გადაწყვიტონ, რა მიმართულებით ან რა ბრენდის ქვეშ გაერთიანდებიან. ჩვენი რეკომენდაციაა, მათ შექმნან ბრენდირებული კოოპერატივები, რათა რამდენიმე სფეროს არ მოიცავდნენ. სასურველია, კოოპერატივი მრავალდარგოვანი არ იყოს, თუმცა ეს მხოლოდ რეკომენდაციაა. გლეხებს ვურჩევთ, ერთი, კონკრეტული ბრენდის ქვეშ ჩამოყალიბდნენ, აირჩიონ ან მესაქონლეობა, ან მემცენარეობა და ასე შემდეგ. არ ვამბობთ, რომ მხოლოდ ატამზე ან მსხალზე იყვნენ ორიენტირებულნი, მაგრამ ვურჩევთ, მიმართულება კულტურებისა და დარგების მიხედვით აირჩიონ. კოოპერაცია იმიტომაც არის კარგი, რომ თუ თაფლს ვაწარმოებ და პირობითად, 10 სკა მაქვს, დიდი რაოდენობით პროდუქციის წარმოება არ შემიძლია. შესაბამისად, როგორც ერთი სუბიექტი, ბაზრის სტაბილური მიმწოდებელი ვერ ვიქნები და ვერც ხარისხს დავიცავ. კოოპერატივში გაერთიანების შემთხვევაში, უკვე დიდი რაოდენობით პროდუქციის წარმოება იქნება შესაძლებელი და, რა თქმა უნდა, ეს გაერთიანება ბაზრის სტაბილური მიმწოდებელი გახდება“.**

რაც შეეხება კოოპერატივში შექმნილი პროდუქციის ექსპორტს, გიორგი მიშელაძე აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში, სააგენტოში საინფორმაციო ბაზა შეიქმნება. მათი საქმიანობის ერთ-ერთი ფუნქცია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობის მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგად მიღებული დეტალური ინფორმაცია, სააგენტოს ელექტრონულ, საინფორმაციო ბაზაში მოხვდება. ამის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ზუსტად ეცოდინება, რა პოტენციალი აქვთ კოოპერატივებს საქართველოში, რა სახისა და ხარისხის პროდუქციას ქმნიან ისინი. თუ კოოპერატივს იმის საშუალება არ ექნება, რომ საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია განახორციელოს, სააგენტო დაეხმარება. თუმცა გიორგი მიშელაძემ „ვერსიასთან“ საუბრისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ სააგენტო კოოპერატივების მთავარი ექსპორტიორი არ იქნება, სახელმწიფო კოოპერატივში გაერთიანებულ გლეხებს დაეხმარება, რათა ხარისხიანი პროდუქცია შექმნან, რომ პირველ რიგში, ადგილობრივი ბაზარი აითვისონ და იმპორტი ჩაანაცვლონ, ექსპორტზე გატანა კი უკვე შემდგომი ეტაპია.

ვერსიანიუსი



## სამართალდამცველებმა სალიბაურისა და კაპრეშუმის რწმუნებულები დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, ლევან ცეცხლაძე და დავით თურმანიძე დიდი ოდენობით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების თაღლითური გზით დაუფლების ფაქტზე დააკავეს: **„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, 2014 წლის 21 იანვარს სამსახურებრივი სიყალბის და სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით დიდი ოდენობით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების თაღლითური გზით დაუფლების ფაქტზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს სოფლების, სალიბაურისა და კაპრეშუმის რწმუნებულები — ლევან ცეცხლაძე და დავით თურმანიძე დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულებმა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 10 500 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთების ფიზიკურ პირებზე უკანონოდ რეგისტრაციისათვის ყალბი ოფიციალური დოკუმენტები გასცეს, რითაც მოქალაქეები უკანონოდ დაეუფლნენ სახელმწიფოს კუთვნილ 169 541 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთებს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 341-ე და 180-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების 6-დან 9 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს“.**

***„ინტერპრესნიუსი“***

# რას მოუტანს საქართველოს თებერვალში დაგეგმილი ნატო-ს სამხედრო კომიტეტის ვიზიტი



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, **მაია ფანჯიკიძის** ინფორმაციით, საქართველოში ნატო-ს სამხედრო კომიტეტის ვიზიტი, კომიტეტის თავმჯდომარე გენერალ კნუდ ბარტელსის ხელმძღვანელობით, 11-12 თებერვალსაა დაგეგმილი. ფანჯიკიძის თქმით, ეს მნიშვნელოვანი ფაქტი მოწმობს, რომ სამხედრო თანამშრომლობა ნატო-სთან ახალ საფეხურზეა: **„სამხედრო უწყებაში განხორციელებული რეფორმები დადებითადაა ასახული ნატო-ს შესაბამის ანგარიშებში. ეს ყველაფერი გვაძლევს იმედს, რომ 2014 წელი საქართველოსთვის ახალი წარმატებებისმომტანი იქნება ნატო-ს მიმართულებითაც“.** ფანჯიკიძე იმედოვნებს, რომ ნატო-ს წლევანდელ, ლონდონის სამიტზე საქართველოს წარმატება და პროგრესი ადეკვატურად აისახება.

სამხედრო კომიტეტის ვიზიტის მნიშვნელობაზე ისაუბრა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმაც. **ვახტანგ კაპანაძის** განცხადებით, ეს ვიზიტი იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, საქართველოში, უმაღლეს დონეზე განვიხილოთ სამხედრო-პოლიტიკური თემები, ნატო-საქართველოს ურთიერთობის საკითხები.

როგორც თავდაცვისა და უსაფრთხოების სამოქალაქო საბჭოს წევრი **თეონა აქუბარდია** აღნიშნავს, ნატო-ს სამხედრო კომიტეტის ვიზიტი ჯერ კიდევ შარშან იგეგმებოდა, თუმცა გენშტაბის მაშინდელი ხელმძღვანელის, გენერალ გიორგი კალანდაძის დაკავების გამო, მისი შემცვლელის დანიშვნამდე, დროებით გადაიდო. აქუბარდიას თქმით, ეს ვიზიტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამ გზით სამხედრო კომიტეტის წევრები, უშუალოდ, მოისმენენ და გაეცნობიან საქართველოს თავდაცვის უწყების მიერ ამ დროისთვის გატარებულ რეფორმებს და ნატო-ს მთავარ პოლიტიკურ ორგანოს მიაწოდებენ ამ საკითხების შესაბამის შეფასებას. მისი თქმით, სამხედრო კომიტეტი ნატო-ს უმაღლესი სამხედრო ორგანოა, რომლის ძირითადი ფუნქციაა, ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს წარუდგინოს რეკომენდაციები სამხედრო პოლიტიკისა და სტრატეგიის შესახებ, ასევე, ნატო-ს სტრატეგიულ სარდლებს მისცეს მითითებები. კომიტეტის შემადგენლობაშია ნატო-ს წევრი ქვეყნების სამხედრო წარმომადგენლები. სამხედრო კომიტეტის ვიზიტის ფარგლებში, გაიმართება სამხედრო კომიტეტის სხდომა 28+1 ფორმატში, სადაც განიხილავენ საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის ტრანსფორმაციის, ასევე ნატო-საქართველოს სამომავლო თანამშრომლობის საკითხებს.

**„როდესაც საუბარია ნატო-ში ინტეგრაციის პერსპექტივებზე, თავდაცვის უწყება ერთ-ერთი წამყვანია ამ კუთხით. გარდა იმისა, რომ საქართველო მონაწილეობს „აისაფის“ მისიაში და მზადაა, „პოსტ-აისაფის“ მისიაშიც ჩაერთოს, თავდაცვაში არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა გატარდა. შესაბამისად, ეს შეხვედრა ქვეყანას დაეხმარება, მით უმეტეს, სამიტის წინ“,** — აცხადებს ექსპერტი.

თეონა აქუბარდია იმაზეც საუბრობს, რა ნაბიჯები უნდა გადადგას საქართველომ ნატო-ს სამიტის წინ: **„ნატო ჩვენს სამხედროებს წვრთნებს უტარებს და ქვეყანას აქტიურად უწევს კონსულტაციებს ნატო-ში ინტეგრაციის კუთხით გასატარებელ მნიშვნელოვან საკითხებზე. თავდაცვის უწყებამ უკვე შეიმუშავა სამხედრო სტრატეგიის პროექტიც, რომელიც დარჩენილი ვალდებულებების ბოლო ფაზა იყო. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანი გზავნილია. ზოგადად, აუცილებელია, სამიტის წინ, საქართველომ ყოველმხრივ გააქტიუროს მოქმედება, მათ შორის, სკეპტიკურად განწყობილ ნატო-ს წევრ ქვეყნებთან. ასევე დასავლურ პრესაში უნდა გააქტიურდეს საქართველოს მიერ გატარებული რეფორმების შესახებ ინფორმაცია, რათა ჩვენს პარტნიორებს რეალურად მივაწოდოთ ინფორმაცია, რა რეფორმები მიმდინარეობს ქვეყანაში და რამდენად ასრულებს ქვეყანა ვალდებულებებს, ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის მიხედვით“.**

ექსპერტის თქმით, როდესაც საუბარია ნატო-ში ინტეგრაციაზე, აუცილებელი ხაზი გადის, როგორც პოლიტიკურ, ასევე სამხედრო საკითხებზე და თავდაცვის სამინისტრო თავს საკმაოდ კარგად ართმევს იმ ვალდებულებებს, რომელიც ნატო-ში ინტეგრაციის მიმართულებით იკისრა. პარალელურად, კარგია, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ტალინში მაპ-თან დაკავშირებით, რეალური და ჯანსაღი კომენტარი გააკეთა: **„წინა ხელისუფლების დროს არსებობდა მუდმივი დაპირებები და ზედმეტი მოლოდინი, რომ საქართველო უახლოეს მომავალში მიიღებდა მაპ-ს. მაპ-ი, მართლაც, ჯადოსნურ სიტყვად იქცა საქართველოსთვის. როდესაც საუბარია რუსული გავლენის ზრდაზე და ვხედავთ, რა ვითარებაცაა თუნდაც უკრაინაში, მნიშვნელოვანია, საქართველომ იგრძნოს არა მხოლოდ იმ ტიპის მხარდაჭერა, რაც გვაქვს, არამედ გაცილებით მეტი. რა თქმა უნდა, ახალი ხელისუფლება ზედმეტი მოლოდინის შექმნისგან თავს იკავებს და ალბათ, ეს სწორი სტრატეგიაა — არ დავასახელოთ გარკვეული ვადები, რომ მაგალითად, ლონდონის სამიტზე მაპ-ს აუცილებლად მივიღებთ, მაგრამ აუცილებელია, ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთოს, რომ საქართველომ მიიღოს უფრო მეტი. სამიტთან დაკავშირებით, უკვე ცნობილია, რომ გაფართოების თემებზე არ იქნება მსჯელობა, თუმცა საქართველოს პოზიტიური სიგნალები სჭირდება, რათა გააგრძელოს დასავლური ინტეგრაციით სვლა ერთი მხრივ და სკეპტიკურად განწყობილმა მოსახლეობამაც დაინახოს, რომ გზას, რომელსაც ქვეყანა ადგას, აქვს გარკვეული შედეგი“,** — აცხადებს აქუბარდია და იმედოვნებს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაწეულ მუშაობას, ნატო-ს სამხედრო კომიტეტი სათანადოდ შეაფასებს.

*„გურიანიუსი“*



## საქართველოს ესტონეთის პრეზიდენტი ეწვევა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი 5 თებერვლამდე რამდენიმე საერთაშორისო ვიზიტს განახორციელებს. ირაკლი ღარიბაშვილი უკვე გაემგზავრა შვეიცარიაში, სადაც, ქალაქ დავოსში, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში, ესტონეთის პრეზიდენტ ტომას ილვესსაც შეხვდა. საქართველოს პრემიერთან საუბრისას, ესტონეთის პირველმა პირმა, ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლის სურვილი გამოთქვა. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ესტონეთის პრეზიდენტს ოფიციალური მოწვევა უახლოეს პერიოდში გაეგზავნება და საქართველოს ტომას ილვესი მალე ეწვევა.

*„პია.გე“*




## პორტუგალიაში საქართველოს მოქალაქე გარდაცვლილი იპოვეს

პორტუგალიაში, ლისაბონის აეროპორტში საქართველოს მოქალაქე გიგა ა. რომელსაც დეპორტაცია ემუქრებოდა, გარდაცვლილი იპოვეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ პორტუგალიაში „პირველი ქართული ასოციაციის“ დამაარსებელმა, ირაკლი ბარამიძემ აცნობა.

მისი ცნობით, საქართველოს მოქალაქე გიგა ა. პორტუგალიაში 2011 წელს ქურდობის მცდელობისთვის დააკავეს და სასჯელს პორტუგალიაშივე იხდიდა, თუმცა 2014 წელს დეპორტი ემუქრებოდა და იგეგმებოდა მისი საქართველოში ექსტრადიცია.

ბარამიძის თქმით, გიგა ა-ს ცხედარი აეროპორტის სადეპორტოში 6 იანვარს ჩამომხრჩვალი იპოვეს.

მიუხედავად საემიგრაციო სამსახურის განცხადებისა, რომ გიგა ა.-მ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, ირაკლი ბარამიძე ვარაუდობს, რომ საქართველოს მოქალაქე მოკლულია.

*„ინტერპრესნიუსი“*

### ვერსიანიუსი

## გერმანიის, უნგრეთის, სლოვაკეთისა და იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტებმა ტერორისტული მუქარის შემცველი წერილები მიიღეს




„ალ ჯაზირას“ ინფორმაციით, გერმანიის, უნგრეთის, სლოვაკეთისა და იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტებმა სოჭის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ტერორისტული მუქარის შემცველი წერილები მიიღეს.

გერმანიის ოლიმპიური კომიტეტის განცხადებით, ტერორისტული მუქარის შემცველი წერილი მათ ელექტრონული ფოსტით მიუვიდათ და გერმანიის სათანადო ორგანოებს გადასცეს.

უნგრეთის ოლიმპიური კომიტეტის თქმით კი, წერილში მუქარა იმ სპორტსმენებისა და მათი ოჯახის მისამართით იყო, რომლებიც სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას გეგმავენ. **„მიღებული წერილები საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტსა და რუსულ მხარეს გადავუგზავნეთ. წერილების ანალიზის შედეგად, ორივე მხარემ ოფიციალურად განგვიცხადა, რომ მუქარა არ არის საფრთხისშემცველი და წერილის ავტორი მსგავსი შინაარსის შეტყობინებებს ოლიმპიური ოჯახის უამრავ წევრს უგზავნის“,** — განაცხადა უნგრეთის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელმა ზიგმუნდ ნაგიმ.

სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშები 7-დან 23 თებერვლამდე გაიმართება, პარაოლიმპიური თამაშები კი 7-დან 16 მარტამდე ჩატარდება.

რამდენიმე კვირის წინ, ისლამისტურმა ტერორისტულმა დაჯგუფებამ „ანსარ ალ-სუნამ“ გაავრცელა ვიდეო, სადაც სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დროს ტერაქტების განხორციელებით იმუქრებოდა.

*„ინტერპრესნიუსი“*

# ცეცხლის ალში გახვეული კიევი, გარდაცვლილი აქტივისტები და „ხალხის პრეზიდენტი“ ვიტალი კლიჩკო

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

**კიევი კვლავ ცეცხლის ალშია გახვეული. ოპოზიციამ იანუკოვიჩს წამზომი ჩაურთო და სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად 24 საათი მისცა, რომელიც უკვე იწურება. ოპოზიციის მიერ შემუშავებული მანიფესტის თანახმად, უკრაინას უკვე ჰყავს ახალი დროებითი, ხალხის პრეზიდენტი — პარტია „უდარის“ ლიდერი ვიტალი კლიჩკო. უკრაინელები „ბრძოლის ველიდან“ გაქცევასა და უკანდახევას არ აპირებენ. პრეზიდენტმა ქვეყანა და ხალხი გაწირა, — ფიქრობენ ისინი. ყოფილი პირველი პირის, ვიქტორ იუშჩენკოს თქმით კი, უკრაინელ ახალგაზრდა აქტივისტებს ასე სასტიკად ხელისუფლება არასოდეს გასწორებია. სამაგიეროდ, გადამწყვეტ ბრძოლაში ხალხის მიტოვებას არ აპირებს უკრაინის ეკლესია — სასულიერო პირები ევრომაიდანზე ჯვრებითა და ხატებით ხელში დგანან, უკრაინის პატრიარქმა ფილარეტმა კი პრეზიდენტის მიერ გადაცემულ ორდენზე უარი თქვა. „იმ პირობებში, რაც უკრაინაშია, როცა დაიღუპნენ ადამიანები, ხოლო კიევის ცენტრში გრძელდება საშინელი წინააღმდეგობა, გთხოვთ, არ დამაჯილდოვოთ ორდენებით. ჩემი გადაწყვეტილება მხარდაჭერილია წმინდა სინოდისა და სხვა მღვდელმთავრების მიერ“, — განაცხადა ფილარეტმა, აქციის მონაწილეებს მხარდაჭერა გამოუცხადა და ლოცვისკენ მოუწოდა, მღვდლებს კი უფლება მისცა, ილოცონ იქ, სადაც ხალხი ითხოვს.**




საერთაშორისო დონეზე გმირადმონათლულ უკრაინელ ხალხს სოლიდარობას თითქმის მთელი მსოფლიო უცხადებს და, ცხადია, გამონაკლისი, არც საქართველოა. მეზობელ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, საქართველოს პატრიარქი, ილია მეორეც გამოეხმაურა: **„კიევში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს მსოფლიოცა და ჩვენც შეშფოთებით ვადევნებთ თვალს. ქვეყანა რთულ პერიოდს გადის და დაძაბულობა შეიძლება კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდეს. დიდად ვწუხვართ, რომ უკვე არის მსხვერპლი და დაშავებულთა სერიოზული რაოდენობა. შევთხოვთ უფალს, პროცესები სისხლიან დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს და მოვლენები უმართავი არ გახდეს. მოციქულ ანდრიას, წმიდა ვლადიმერისა და წმიდა ოლღას ლოცვით ღმერთმა დალოცოს უკრაინა და უკრაინელი ხალხი და შეაძლებინოს არსებული პრობლემების მშვიდობიანი გზით გადაჭრა“**.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა კი აღნიშნა: **„დიდი მღელვარებით ვადევნებთ თვალს ჩვენს მეგობარ და პარტნიორ ქვეყანაში — უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს. მეტად გვაწუხებს ის, რომ კიევის ქუჩებში განვითარებულ მოვლენებს მოჰყვა მსხვერპლი. გამოვთქვამთ ღრმა მწუხარებას ამ ტრაგიკული ფაქტის გამო, ვგმობთ ყოველგვარ ძალადობას და ვიტოვებთ იმედს, რომ უკრაინის ხელისუფლება და მთლიანად საზოგადოება გამოიჩენს სიბრძნეს და არ დაუშვებს მოვლენათა ძალადობრივ განვითარებას. გვჯერა, უკრაინელ მეგობრებს შესწევთ უნარი, მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადაწყვიტონ ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის აუცილებელი პოლიტიკური საკითხები“**.

უკრაინელებს სოლიდარობა გამოუცხადეს საქართველოს პოლიტიკოსებმაც, რუსთაველის გამზირზე კი, 22 იანვარს, სოლიდარობის აქცია გაიმართა, სადაც პოლიტიკოსებთან ერთად, სხვა ცნობადი სახეებიც შეიკრიბნენ. მათი თქმით, უკრაინაში მოვლენების უფრო დრამატული განვითარების თავიდან ასაცილებლად მთელმა მსოფლიომ ხმა უნდა აღიმაღლოს. **„გვინდა, სოლიდარობა გამოვუცხადოთ უკრაინელ ხალხს. გვსურს, ყველაფერი მშვიდობიანად, უსისხლოდ, ძალადობის გარეშე დასრულდეს, უკრაინელი ხალხისა და დამოუკიდებელი, ევროპელი უკრაინელი ხალხის გამარჯვებით“**, — განაცხადეს აქციის მონაწილეებმა და არ გამორიცხეს, რომ უკრაინის მხარდამჭერმა აქციებმა საქართველოში პერმანენტული სახე მიიღოს.

იქნება თუ არა ეს საჭირო, უახლოეს მომავალში გადაწყდება. საერთაშორისო პოლიტოლოგების პროგნოზით, უკრაინაში პროცესები შეუქცევადია და გადამწყვეტ ფაზაშია.

21-22 იანვრის ღამემ მშვიდად ჩაიარა — ევრომაიდანზე შეკრებილი მომიტინგეები ამბობდნენ, რომ ეს მოსალოდნელი „ქარიშხლის“ წინ ჩამოწოლილი სიჩუმე იყო. სხვა თუ არაფერი, სწორედ 22 იანვარს უნდა ამოქმედებულიყო ქვეყანაში, 16 იანვარს მიღებული დრაკონული კანონი აქციების შესახებ, რომელიც დემონსტრაციების მოწყობის წესებს ამკაცრებს. ოპოზიციონერებისა და დემონსტრანტების აზრით, მხოლოდ ესეც კი შეიძლებოდა გამხდარიყო 22 იანვრის აქციის დარბევის საბაბი.

მართლაც, მორიგი „ქარიშხალი“ უკრაინელებს „ბერკუტიმ“ გამთენიისას მოუწყო — აქციის მონაწილეები ძალოვნებს „მოლოტოვის კოქტეილებს“ ესროდნენ. „ბერკუტი“ კი რეზინის ტყვიებსა და ცრემლსადენ გაზს არ იშურებდა. სპეცრაზმელებმა ოპოზიციონერების მიერ მოწყობილი ბარიკადების აღება დაიწყეს და -10 გრადუს ყინვაში, წყლის ჭავლი კვლავ გამოიყენეს, რაც საერთაშორისო სტანდარტების დარღვევაა და წამების ტოლფასია. დილას, უკრაინის პრემიერ-მინისტრმა, ნიკოლაი აზაროვმა გააკეთა განცხადება, რომ თუ კიევში პროვოკატორები არ გაჩერდებოდნენ, ხელისუფლება



კანონით გათვალისწინებულ ძალას გამოიყენებდა. ეს კიდევ ერთი დასტური იყო, რომ ხალხს არ დაინდობდნენ და იერიშს მიიტანდნენ. გავრცელდა ასევე ინფორმაცია, რომ აქციის დასარბევად რვა ათასი ძალოვანი ჰყავდათ მობილიზებული. მიუხედავად ამისა, უკრაინელები არ დაიშალნენ და სამართალდამცავებს წინააღმდეგობას უწევდნენ — შეტაკებები მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდა.

მთავარი ორთაბრძოლა კვლავ გრუშევსკის ქუჩის მიმდებარედ, სასტუმრო „დნეპრთან“ გაიმართა. რაღაც პერიოდში, სპეცრაზმმა ქუჩის ნაწილის გათავისუფლება შეძლო, მომიტინგეები იძულებულნი გახდნენ, უფრო ეფექტური ხერხისთვის მიემართათ და სამართალდამცავების მოსაგერიებლად, საბურავები დაწვეს. მალე კიევის ცენტრი კვამლში გაეხვია, იმის გარკვევაც ჭირდა, ვინ რა მიმართულებით ისროდა. დემონსტრანტების მტკიცებით, „ბერკუტიმ“ ცეცხლსასროლი იარაღიც გამოიყენა, რასაც უკრაინის შსს არ ადასტურებს, მაგრამ ინტერნეტსივრცეში გავრცელდა ფოტო და ვიდეომასალა. პარალელურად, ექიმები ამტკიცებენ, რომ საავადმყოფოებში მიყვანილ დაშავებულთა უმრავლესობას ისეთი ჭრილობები ჰქონდა, რასაც რეზინის ტყვიით ვერ მიაყენებდნენ.

**„ქუჩა შავ კვამლშია გახვეული, ყველაფერი ფერფლითაა დაფარული, ირგვლივ ნამსხვრევები ყრია, ისმის დაჭრილების გმინვა, ექთნები მოედნიდან მათ გაყვანას ვერ აუდიან, ჩემს ირგვლივ არაერთი ადამიანი წევს უგონოდ“**, — ამგვარად აღწერდა ერთ-ერთი კორესპონდენტი 22 იანვარს კიევის ცენტრში განვითარებულ მოვლენებს. მოგვიანებით, გავრცელდა ინფორმაცია მსხვერპლის შესახებ — შეტაკებისას, 200-ზე მეტი ადამიანი მძიმედ დაშავდა, 5 კი გარდაიცვალა, მათ შორის, ბელორუსის ერთი მოქალაქე, არაოფიციალური ინფორმაციით, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებულმა ჭრილობამ იმსხვერპლა. დაღუპულები 21-35 წლის ახალგაზრდები არიან. გავრცელდა კადრები, როგორ სასტიკად უსწორდებოდნენ სპეცრაზმელები მათ და მოხუცებს, ერთ-ერთი გარდაცვლილი კი საგანგებოდ შექმნილი ლაზარეთიდან, უკრაინის ჰიმნის ფონზე გამოასვენეს. ჰიმნის შესრულება ატირებულ ექიმებსა და აქტივისტებს ძალიან უჭირდათ... ეს თითქოს ბოლო წვეთი იყო, 2-თვიანი პროტესტის შემდეგ, ხელისუფლებისგან განწირული უკრაინელი ხალხის მოთმინების ფიალა აივსო — მოქალაქეები მაიდნისკენ დაიძრნენ, ქუჩაში სასულიერო პირებიც გამოვიდნენ, მოვლენების ეპიცენტრში, ჯვრებითა და ხატებით ხელში, ამაყად დადგნენ და ხმამაღლა დაიწყეს ლოცვა უკრაინისა და მისი ნათელი მომავლისთვის, რომელიც უკრაინელი ოპოზიციონერების თქმით, „ბნელ რუსეთს“ არავითარ შემთხვევაში არ უკავშირდება.

დაახლოებით 15:00 საათზე „ბერკუტიმ“ მომიტინგეების მისამართით კიდევ ერთი შტურმი განახორციელა, გრუშევსკის ქუჩაზე ვითარება უკიდურესად დაიძაბა, ძალოვნებმა ათეულობით აქტივისტი დააკავეს, მანქანებში ჩატენეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. „ბერკუტის“ წარმომადგენლები სასტიკად სცემდნენ ყველას, ვინც კი ხელში მოხვდებოდათ — „წითელ ჯვარსაც“ არაფრად აგდებენ და ექიმებსაც სასტიკად უსწორდებოდნენ. დემონსტრანტებს, ძირითადად, ხელკეტებით სცემდნენ, წაქცეულებს კი ფეხებს ურტყამდნენ გონის დაკარგვამდე, შემდეგ ტანსაცმელს ახევდნენ და გასაყინად განწირულებს ტოვებდნენ...

მალე კიევის ცენტრში მძიმე ტექნიკა გამოჩნდა.

„ბერკუტმა“ ოქტომბრის სასახლეზე მიიტანა იერიში. ისროლეს კვამლის შაშხანები და გაუშვეს გაზი. აქტივისტებმა თავდასხმა მოიგერიეს. ოპოზიციის შტაბში, რომელიც პროფკავშირების სასახლეში მდებარეობს, სრული მობილიზაცია გამოცხადდა.

ერთმანეთის მიყოლებით, განცხადებები გააკეთეს ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, ევროკავშირისა და გაერო-ს წარმომადგენლებმა, სხვადასხვა ქვეყნების პირველმა პირებმა... ისინი უკრაინის ხელისუფლებას მოუწოდებდნენ, შეწყვიტოს საკუთარი ხალხის წამება, მათ წინააღმდეგ ძალის გამოყენება, დაიწყოს დიალოგი და გამონახოს საერთო ენა. 16:00 საათისთვის, მართლაც, გავრცელდა ინფორმაცია, რომ უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი ოპოზიციის ლიდერებთან შესახვედრად მზად იყო, თუმცა ეს დროის გასაყვანად სჭირდებოდა — ოპოზიცია და ხელისუფლება ვერ შეთანხმდნენ, პრეზიდენტთან უშედეგო ვიზიტის შემდეგ კი, ოპოზიციის ლიდერები აქციაზე დაბრუნდნენ. იმავე დღეს, ოპოზიციამ საერთო მანიფესტი შეიმუშავა, იანუკოვიჩი თანამდებობიდან „გადააყენა“ და „უდარის“ ლიდერი ვიტალი კლიჩკო უკრაინის დროებით პრეზიდენტად გამოაცხადა:

*დასასრული მე-11 გვერდზე*

# ვაშნარის ციხექალაქი გაიყიდა?


განცხადების რეგისტრაცია
N 882011492812 - 10/10/2011 11:24:23
17/10/2011 13:56:47

საკუთრების განყოფილება

26 06 27 010

21000.00 კვ.მ.

26.06.03.109;

N1 5900 კვ.მ. N2 478,22 კვ.მ. N3 354,45 კვ.მ. N4 571,1 კვ.მ. N5 129,7 კვ.მ. N6 92,8 კვ.მ. N7 8,76 კვ.მ. N8 66,24 კვ.მ. N9 8,05 კვ.მ. N10 5,12 კვ.მ. N11 5,8 კვ.მ.

მესაკუთრის განყოფილება

882011492812, 10/10/2011 11:24:23
17/10/2011

NA10041397-024/001, 25/08/2011

P/N: 33001046105

სოფელ გურიანთის ტერიტორიაზე (ოზურგეთიდან 5 კმ-ის დაშორებით) არსებული უნიკალური ძეგლი, ვაშნარის ციხე-ქალაქი გაიყიდა. კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, ადრე შუასაუკუნეებით დათარიღებული ციხექალაქის გასხვისება, დიდი ხნის ამბავია, თუმცა გურიაში ამის შესახებ ახლახან გახდა ცნობილი.

ისტორიული მუზეუმის დირექტორი გოგა ტრაპაიძე ამბობს, რომ ვაშნარის გაყიდვის შესახებ მხოლოდ 21 იანვარს შეიტყო, დეტალები კი დღემდე არ იცის: **„კონკრეტულად, რა მოხდა, არ ვიცი. გავიგეთ, რომ გურიანთაში ვაშნარის ტერიტორია გაყიდულა და ვარკვევთ, რა მოხდა“**.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმების მმართველის, დათო ხურციძის თქმით, 2011 წელს აუქციონზეა გატანილი ის ადგილი, სადაც ვაშნარის უნიკალური ძეგლია: **„ინტერნეტში მოვიძიეთ ინფორმაცია, რომ მესაკუთრე ტიტე ფასიეშვილია, მეტი არაფერი ვიცით. კულტურის სამინისტრო უკვე ჩავაყენეთ საქმის კურსში“.**

ვაშნარის ციხექალაქის შესახებ ინფორმაციას ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი მანანა ლომაძე გვაწვდის: **„ისტორიკოს-მკვლევართა მიერ ძეგლი მიჩნეულია IV-VIII საუკუნეების მნიშვნელოვან სამონასტრო კომპლექსად. თავისი ციხექალაქით, წამებულის განსასვენებლით-მარტირიუმით, საკათედრო ტაძრით — სამნავიანი ბაზილიკითა და სასიმაგრო სისტემით. მეცნიერთა ვარაუდით, კომპლექსი აიგო IV საუკუნეში და VIII საუკუნის შუაწლებში შეწყვიტა არსებობა. სავარაუდოდ, ციხე-ქალაქი დაინგრა მურვან-ყრუს შემოსევების შედეგად.**

**ვაშნარი 1833 წელს მოინახულა შვეიცარელმა მოგზაურმა და სიძველეთა მკვლევარმა დიუბუა დე მონპერემ, რომელმაც ის პეტრას ციხედ მიიჩნია. ეს აზრი უარყო დიმიტრი ბაქრაძემ და ვაშნარი ბერძნულ ახალშენად ჩათვალა. 1897 წელს გურიაში იმოგზაურა თედო სახოკიამ, ვაშნარი ნანგრევების სახით ნახა და თავის „მოგზაურობაში“ გადმოგვცა დიუბუას სიტყვები: „მე ვიდექი იქ, სადაც დიდი ხნის წინ, შეიძლება, ათასი წელიწადიც იყოს მას აქეთ, არსებობდა გურიის ერთ-ერთი უძველესი ქალაქთაგანი. აქვეა ლეგენდაც: „აქ ყველგან სიმდიდრე იყო ჩაფლული, მაგრამ ვერავინ მიაგნო იგი, არც წინათ და არც შემდეგ, ამიტომ „უჩინარი“ დაერქვა.**

**პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრა 1949 წელს, როდესაც აქ გათხრები აწარმოა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი გერმანე გობეჯიშვილი). 1949 წელს აქ დაიწყო ჩაის გადასამუშავებელი ფაბრიკის მშენებლობა, რომლის დროსაც აღმოჩნდა შიდაციხის ნაწილი, სამნავიანი ბაზილიკა და წამებულის საპატივცემულოდ გამართული მარტირიუმი — განსასვენებელი. არქეოლოგიური გათხრების პარალელურად, მიდიოდა მოლაპარაკება სამშენებლო სამუშაოების შეჩერება-შეწყვეტის შესახებ, მაგრამ სამწუხაროდ, იმდროინდელი ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, სამუშაოები გაგრძელდა, რამაც ძეგლის მიწისზედა ნაწილი შეიწირა კიდეც. 1961 წელს ხელოვნებათმცოდნე ვადიმ ლექვინაძემ ძეგლი არქიტექტურულად შეისწავლა“.**

*„გურიანიუსი“*



# ვინ აღადგენს ოშკს?

ტაო-კლარჯეთის ქართული ძეგლების რეაბილიტაცია გრძელდება. ამჯერად, როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, ოშკის სამონასტრო კომპლექსი აღდგება. არადა, ხელშეკრულება, რომელიც ძეგლის აღდგენით სამუშაოებში ქართველი სპეციალისტების ჩართვას უზრუნველყოფს, ჯერაც ხელმოუწერელია.

საქართველოს პრეზიდენტმა **გიორგი მარგველაშვილმა**, თურქეთში ოფიციალური ვიზიტი ოშკისა და იშხნის ტაძრების მონახულებით დაასრულა, თუმცა მანამდე, პრეზიდენტის ადმინისტრაცია იუწყებოდა, რომ ქართული დელეგაცია ტაო-კლარჯეთსაც აუცილებლად ეწვეოდა.

საქართველოს პრეზიდენტმა თურქულ მხარეს ისტორიული ძეგლების დაცვისა და შენარჩუნებისთვის მადლობა გადაუხადა: **„ბედნიერი ვარ, რომ დღეს შესაძლებლობა მოგვეცა, ჩვენი წინაპრების შემოქმედება გვენახა. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ღვთის მადლით, საქართველოსა და თურქეთს ისეთი ცივილიზებული ხელისუფლება ჰყავს, რომელიც პატივს სცემს, რუდუნებით უვლის და მომავალ თაობას უნახავს კულტურულ მემკვიდრეობას“.**

როგორც ქვეყნის პირველმა პირმა და ქართული დელეგაციის წევრებმა განაცხადეს, თურქეთის ხელისუფლებასთან გამართული შეხვედრების მსვლელობისას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხიც განიხილეს.

**„შეხვედრების დროს მივიღეთ დაპირება, რომ იშხნის ტაძრის აღდგენა 2014 წელს დასრულდება, ხოლო რაც შეეხება ოშკს, მიმდინარე წელს, მისი რეაბილიტაციის პროცესი პარალელურად დაიწყება, რომელშიც ქართველი სპეციალისტებიც ჩაერთვებიან“,** — აცხადებს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი **ირინე იმერლიშვილი**, რასაც თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩი **ირაკლი კოპლატაძეც** ეთანხმება. ამ უკანასკნელის თქმით, ანკარაში გამართული მოლაპარაკებებით, სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო. საქართველოს პრეზიდენტსა და ქართულ დელეგაციას თურქეთის მხარემ აღუთქვა, რომ ოშკის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წელს დაიწყება.

მიუხედავად საქართველოს პირველი პირების თურქეთში გაკეთებული განცხადებისა, რომ 2014 წელს ოშკის რეაბილიტაციაში ქართველი სპეციალისტებიც ჩაერთვებიან, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ამის შესახებ ახალს ვერაფერს ამბობენ.

კულტურის მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარი ამბობს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არანაირი ცვლილებები არაა ანუ, ოფიციალური ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ქართველ სპეციალისტებს საშუალება ექნებათ, თურქეთის ტერიტორიაზე განთავსებული ქართული ძეგლის რეაბილიტაციაში მიიღონ მონაწილეობა, გაფორმებული ჯერ კიდევ არ არის — ხელშეკრულება, რომელიც თურქულ მხარეს გადაეგზავნა, ყოველგვარი ხელმოწერისა და პირობებზე დასტურის გარეშე დააბრუნეს, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ თურქულმა მხარემ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რეკომენდაციები გასცა. კულტურის მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარი განგვიმარტავს: **„ეს ხელშეკრულება დაგვიბრუნდა, ამიტომ პრეზიდენტს მასზე ხელი არ მოუწერია. ახლა კიდევ ერთხელ გადავხედავთ და ამ თემას მას შემდეგ დავძრავთ, რაცა უწყებათაშორის კომისიაში განხილვები დასრულდება. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხში საგარეო საქმეთა სამინისტროცაა ჩართული. რა ვადებში მოხერხდება ახალი ხელშეკრულების გაფორმება, ამ ეტაპზე, ვერ გეტყვით, თუმცა ვიდრე ოშკზე რეაბილიტაცია დაიწყება, უნდა მოესწროს. მიუხედავად ოფიციალური ხელშეკრულების არარსებობისა, ჩვენი სპეციალისტები რესტავრაციის პროცესში მაინც ჩერთვებიან. ეს პრობლემა არც იშხანზე არსებობდა, ვინაიდან ორი ქვეყნის კულტურის მინისტრებს შორის სიტყვიერი შეთანხმება შედგა“.**

*„გურიანიუსი“*

## „ნარინჯისფერი რევოლუციიდან“ სამოქალაქო ომამდე

# ცეცხლის ალში გახვეული კიევი, გარდაცვლილი აქტივისტები და „ხალხის პრეზიდენტი“ ვიტალი კლიჩკო



*მე-10 გვერდიდან*

**„თანამემამულენო! ყველაფერი ნათქვამია. დრო მოვიდა, ვიმოქმედოთ. ჩვენ, უკრაინის მოქალაქეები, რომლებიც კიევში, მაიდანზე შევიკრიბეთ, ვიქტორ იანუკოვიჩს გადაყენებულად ვაცხადებთ და ვიტალი კლიჩკოს დროებით პრეზიდენტად ვირჩევთ“**.

ოპოზიციის ლიდერებმა კვლავ მიმართეს აქციის მონაწილეებს. ფრაქცია „ბატკივშჩინას“ ლიდერმა, არსენ იაცენიუკმა კი გაახმოვანა, რომ ოპოზიცია და უკრაინელი ხალხი ვიქტორ იანუკოვიჩს 24 საათს აძლევს: **„დღეს მაიდანს ვიცავთ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა თითოეული ადამიანის სიცოცხლე შევინარჩუნოთ და შევინარჩუნოთ უკრაინა, როგორც ერთიანი სახელმწიფო. იანუკოვიჩს 24 საათი დარჩა გადაწყვეტილების მისაღებად. მე გადაწყვეტილება მივიღე“**.

იანუკოვიჩის წამზომი ჩაირთო. დროის გასვლამდე აქცია არ დაიშალა. უკრაინელები ამბობენ, რომ ბოლომდე იბრძოლებენ. დემონსტრანტებმა ღამით ახალი ბარიკადები ააგეს. სახანძრო ბრიგადებმა კიევის ცენტრშიგაჩენილი ხანძრის ჩაქრობა მთელი ღამის განმავლობაში ვერ შეძლეს.

ოპოზიცია ღამით „ბერკუტის“ შტურმს ელოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ევრომაიდანზე, შტურმის მოლოდინში, ათასობით ადამიანმა გაათენა. ლოკალური შეტაკებების მიუხედავად, ღამემ შედარებით მშვიდად ჩაიარა. დილას, კიევის ცენტრი კვლავ ცეცხლის ალში იყო გახვეული. მოხალისე ექიმებმა ლიტერატურის ინსტიტუტში სამედიცინო პუნქტი აღადგინეს, რომელიც „ბერკუტმა“ წინა დღეს დაანგრია. 11 საათისთვის, ევრომაიდანზე, კვლავ 100 ათასამდე ადამიანი იმყოფებოდა. უკრაინელებს კიდევ ერთი მიზეზი მიეცათ გასაპროტესტებლად: გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლება მათ გარესამყაროსგან მოწყვეტას ცდილობდა — ინტერნეტმომხმარებელს ხელისუფლების გადაწყვეტილების წერილების ასლები ჩაუვარდათ ხელთ და ინფორმაცია სოციალური ქსელით გაავრცელეს. ცნობის მიხედვით, სატელეფონო, მობილური, ინტერნეტკავშირისა და ყველა ტელევიზიის გათიშვა იგეგმება — მაუწყებლობა მხოლოდ პირველ ნაციონალურ არხსა და პირველ რადიოს შეუნარჩუნდება, ოპოზიცია კი აცხადებს, რომ ხელისუფლებას ამის უფლებას არ მისცემს.

23 იანვარს, უკრაინელებმა გამაფრთხილებელი გაფიცვაც მოაწყვეს — გარკვეული პერიოდის განმავლობაში, დედაქალაქში მუშაობა შეწყდა. გავრცელებული ინფორმაციით, ძალოვნები საგანგებო მდგომარეობის შემოღებისთვის მოემზადნენ.

დღის მეორე ნახევარში გრუშევსკის ქუჩაზე დაპირისპირება განახლდა. ბარიკადებთან სასულიერო პირები მივიდნენ და ლოცვა დაიწყეს. შეტაკებები გრძელდება. აირიდებს თუ არა უკრაინა მორიგ სისხლისღვრას თავიდან, იანუკოვიჩის ნებაზეა დამოკიდებული, ოპოზიცია კი ვადის ამოწურვის შემდეგ, უფრო რადიკალურ ქმედებებზე გადასვლას აანონსებს.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 9 | | | | 6 | |
| 7 | | | | 8 | | 3 | | |
| | 1 | 9 | | | 4 | | | |
| 1 | | | | | 3 | | 7 | |
| | 8 | | 4 | | 6 | | 5 | |
| | 3 | | 1 | | | | | 2 |
| | | | 5 | | | 4 | 3 | |
| | | 6 | | 4 | | | | 1 |
| | 2 | | | | 8 | | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 9 | 5 | | | | 1 |
| | 3 | 2 | 1 | | | | 5 | |
| | | 5 | | | | 6 | | |
| 5 | | | | | | | 1 | |
| | | | 7 | 3 | 4 | | | |
| | 6 | | | | | | | 9 |
| | | 6 | | | | 1 | | |
| | 4 | | | | 5 | 2 | 3 | |
| 8 | | | | 7 | 9 | | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 | | | | 9 | 2 | |
| | 1 | | 4 | 2 | | | | |
| | | | 8 | | | | 4 | |
| 5 | | | 7 | 4 | | 6 | | |
| 6 | | | | 5 | | | | 7 |
| | | 1 | | 8 | 6 | | | 5 |
| | 5 | | | | 8 | | | |
| | | | | 9 | 1 | | 5 | |
| | 2 | 6 | | | | 1 | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 | 1 | | 7 | | | |
| | | | | 4 | | | | 7 |
| 8 | | | | | 5 | | 3 | 9 |
| 5 | | | 2 | | | | 6 | 3 |
| | 4 | | | | | | 2 | |
| 6 | 2 | | | | 9 | | | 5 |
| 7 | 5 | | 8 | | | | | 2 |
| 9 | | | | 5 | | | | |
| | | | 3 | | 6 | 5 | | |



# მშობლების ლოგინში ჩვილის ჩაწვენა აკრძალეს

შვედ მშობლებს ექსპერტებმა სამ თვემდე ჩვილის ლოგინში ჩაწვენა აუკრძალეს, რადგან მათი აზრით, ამან შესაძლოა, პატარას უეცარი სიკვდილი გამოიწვიოს. ბავშვისთვის მშობლების ლოგინის გაზიარება, როგორც უმრავლეს ქვეყანაში, სკანდინავიაშიც ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ შვედი სწავლულები დედ-მამას სთხოვენ, ეს პრაქტიკა დაივიწყონ. მნიშვნელოვანია, რომ სამ თვემდე ჩვილი საკუთარ საწოლში იწვეს. აუცილებელია, პატარამ სიგარეტის კვამლით ან ალკოჰოლით გაჟღენთილი ჰაერი არ ისუნთქოს, — ამბობენ სპეციალისტები. ჩვილის უეცარი სიკვდილის სინდრომი (SIDS) დღემდე ამოუხსნელ ფენომენად რჩება. ამ სინდრომის დროს პატარა სრულიად მოულოდნელად, ძილში კვდება. გაკვეთისას მედიკოსები ვერასოდეს სვამენ ზუსტ დიაგნოზს, კონკრეტულად, რის გამო გარდაიცვალა ბავშვი. სწორედ ამიტომ ამ სინდრომს ხშირად „ლოგინის სიკვდილსაც" უწოდებენ ხოლმე. სინდრომის პრევენციისთვის არსებობს რამდენიმე სტრატეგია: პატარა ზურგზე დააწვინოთ და არ გამოიყენოთ მოშვებული ქვესაგები. როგორც ბრიტანული სამედიცინო გამოცემა წერს, უეცარი სიკვდილის სინდრომით გარდაცვლილთა ანალიზისას გაირკვა, რომ დაღუპული ბავშვების 22%-ს მშობლების ლოგინში ეძინა.

# აფრიკელებმა ბალახის ჭამა დაიწყეს



სამხრეთ აფრიკელმა პასტორმა ლესეგო დანიელმა მრევლს მოუწოდა, ბალახი მიირთვან და ამ გზით „უფრო ახლოს იყვნენ" უფალთან. მას შემდეგ, რაც მსგავსი შინაარსის განცხადება გავრცელდა, ქვეყნის დედაქალაქის — პრეტორიის მაცხოვრებლები ქუჩებში გამოვიდნენ და ქალაქის სკვერებსა თუ მდელოებზე ბალახის ჭამა დაიწყეს. დასავლურ მედიაში გავრცელებულმა ფოტოებმა, რომლებზეც ნაჩვენებია, როგორ „ნაყრდება" ხალხი ბალახით, მსოფლიო საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ ღმერთთან „დაახლოების" ამ უცნაური პროცესის შემდეგ, უამრავი ადამიანი მოიწამლა და საავადმყოფოში აღმოჩნდა.

# გულის წამლები უსიამოვნო მოგონებების წინააღმდეგ

გულის დაავადების სამკურნალო ჩვეულებრივი პრეპარატები, როგორც ჩანს, ადამიანის მეხსიერებიდან მძიმე მოგონებებს შლის, — მიიჩნევენ ჰოლანდიელი მეცნიერები. მათი მოსაზრებით, ბეტა-ბლოკატორები ადამიანს ფსიქოლოგიური ტრავმის ან დიდი ტრაგედიის გადატანაში დაეხმარება. ჰოლანდიელი სწავლულების გამოკვლევაში 60 მოხალისე მონაწილეობდა. ექსპერიმენტისას ხელოვნურად შექმნეს უსიამოვნო მოგონებები, როცა მოხალისეებს ობობების სურათებს აჩვენებდნენ და, ამავდროულად, სხეულზე მცირე ელექტრულ მუხტს უშვებდნენ. ექსპერიმენტში მონაწილეთა შიშს იმის მიხედვით აფასებდნენ, რა სიხშირით ხუჭავდნენ თვალს. პაციენტთა ის ნაწილი, რომელთაც წამალს აძლევდნენ, ნაკლებ შიშს გამოხატავდა, ვიდრე ისინი, რომელთაც მხოლოდ პლაცებოს ასმევდნენ. როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ბეტა-ბლოკატორებს შეუძლიათ, დროთა განმავლობაში, მთლიანად წაშალონ ცუდი მოგონებები. თუმცა, ჰოლანდიელი კოლეგების „აღმოჩენას" ბრიტანელი მეცნიერები ეჭვის თვალით უყურებენ. მათი აზრით, ასეთი „მკურნალობის" შედეგად, შესაძლოა, ადამიანმა მეხსიერება საერთოდ დაკარგოს, შედეგად კი ალცჰეიმერიით დაავადდეს.



# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 7 | 5 | 6 | 8 |
| 7 | 5 | 1 | 4 | 6 | 8 | 3 | 2 | 9 |
| 9 | 8 | 6 | 2 | 5 | 3 | 1 | 7 | 4 |
| 6 | 2 | 5 | 3 | 8 | 1 | 9 | 4 | 7 |
| 1 | 4 | 9 | 7 | 2 | 5 | 8 | 3 | 6 |
| 3 | 7 | 8 | 6 | 4 | 9 | 2 | 5 | 1 |
| 5 | 1 | 3 | 9 | 7 | 6 | 4 | 8 | 2 |
| 2 | 9 | 7 | 8 | 3 | 4 | 6 | 1 | 5 |
| 8 | 6 | 4 | 5 | 1 | 2 | 7 | 9 | 3 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 8 | 6 | 5 | 2 | 7 | 3 | 9 | 1 |
| 3 | 2 | 1 | 9 | 4 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 5 | 9 | 7 | 6 | 3 | 1 | 8 | 2 | 4 |
| 7 | 1 | 8 | 4 | 9 | 6 | 5 | 3 | 2 |
| 2 | 6 | 3 | 8 | 7 | 5 | 1 | 4 | 9 |
| 9 | 5 | 4 | 3 | 1 | 2 | 6 | 8 | 7 |
| 1 | 4 | 5 | 2 | 8 | 3 | 9 | 7 | 6 |
| 8 | 7 | 9 | 1 | 6 | 4 | 2 | 5 | 3 |
| 6 | 3 | 2 | 7 | 5 | 9 | 4 | 1 | 8 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 6 | 1 | 2 | 5 | 9 | 4 | 8 | 7 |
| 8 | 4 | 7 | 3 | 1 | 6 | 2 | 5 | 9 |
| 5 | 9 | 2 | 4 | 8 | 7 | 6 | 1 | 3 |
| 4 | 7 | 9 | 8 | 3 | 1 | 5 | 6 | 2 |
| 2 | 8 | 6 | 9 | 4 | 5 | 3 | 7 | 1 |
| 1 | 5 | 3 | 7 | 6 | 2 | 9 | 4 | 8 |
| 7 | 3 | 5 | 6 | 2 | 8 | 1 | 9 | 4 |
| 9 | 1 | 4 | 5 | 7 | 3 | 8 | 2 | 6 |
| 6 | 2 | 8 | 1 | 9 | 4 | 7 | 3 | 5 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 1 | 6 | 8 | 5 | 7 | 4 | 3 | 2 |
| 8 | 7 | 4 | 6 | 3 | 2 | 1 | 5 | 9 |
| 3 | 2 | 5 | 4 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 |
| 7 | 6 | 3 | 5 | 4 | 1 | 2 | 9 | 8 |
| 2 | 5 | 1 | 9 | 8 | 6 | 3 | 4 | 7 |
| 4 | 8 | 9 | 7 | 2 | 3 | 6 | 1 | 5 |
| 6 | 4 | 8 | 3 | 7 | 5 | 9 | 2 | 1 |
| 5 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 4 |
| 1 | 9 | 7 | 2 | 6 | 4 | 5 | 8 | 3 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 1 | 2 | 7 | 4 | 6 | 3 | 5 |
| 7 | 6 | 2 | 5 | 3 | 1 | 9 | 8 | 4 |
| 3 | 5 | 4 | 9 | 8 | 6 | 2 | 1 | 7 |
| 6 | 2 | 7 | 8 | 1 | 5 | 4 | 9 | 3 |
| 5 | 4 | 3 | 7 | 2 | 9 | 1 | 6 | 8 |
| 1 | 8 | 9 | 6 | 4 | 3 | 7 | 5 | 2 |
| 9 | 3 | 8 | 4 | 6 | 7 | 5 | 2 | 1 |
| 4 | 1 | 6 | 3 | 5 | 2 | 8 | 7 | 9 |
| 2 | 7 | 5 | 1 | 9 | 8 | 3 | 4 | 6 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 3 | 6 | 5 | 8 | 9 | 7 | 4 | 1 |
| 1 | 8 | 4 | 3 | 7 | 6 | 2 | 9 | 5 |
| 5 | 9 | 7 | 4 | 2 | 1 | 3 | 8 | 6 |
| 8 | 7 | 5 | 1 | 4 | 3 | 9 | 6 | 2 |
| 6 | 4 | 3 | 9 | 5 | 2 | 8 | 1 | 7 |
| 9 | 2 | 1 | 8 | 6 | 7 | 5 | 3 | 4 |
| 7 | 1 | 2 | 6 | 9 | 8 | 4 | 5 | 3 |
| 4 | 6 | 9 | 2 | 3 | 5 | 1 | 7 | 8 |
| 3 | 5 | 8 | 7 | 1 | 4 | 6 | 2 | 9 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 7 | 8 | 3 | 5 | 4 | 2 | 1 | 9 |
| 3 | 5 | 4 | 9 | 2 | 1 | 8 | 7 | 6 |
| 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 3 | 5 | 4 |
| 5 | 9 | 7 | 6 | 1 | 3 | 4 | 2 | 8 |
| 8 | 2 | 6 | 7 | 4 | 5 | 1 | 9 | 3 |
| 4 | 3 | 1 | 2 | 8 | 9 | 7 | 6 | 5 |
| 7 | 6 | 2 | 5 | 3 | 8 | 9 | 4 | 1 |
| 1 | 8 | 5 | 4 | 9 | 7 | 6 | 3 | 2 |
| 9 | 4 | 3 | 1 | 6 | 2 | 5 | 8 | 7 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 4 | 7 | 9 | 8 | 3 | 2 | 1 |
| 3 | 2 | 1 | 6 | 5 | 4 | 9 | 8 | 7 |
| 9 | 8 | 7 | 3 | 2 | 1 | 6 | 4 | 5 |
| 5 | 6 | 9 | 4 | 3 | 7 | 2 | 1 | 8 |
| 1 | 7 | 3 | 8 | 6 | 2 | 5 | 9 | 4 |
| 2 | 4 | 8 | 5 | 1 | 9 | 7 | 3 | 6 |
| 4 | 3 | 6 | 2 | 8 | 5 | 1 | 7 | 9 |
| 8 | 1 | 5 | 9 | 7 | 3 | 4 | 6 | 2 |
| 7 | 9 | 2 | 1 | 4 | 6 | 8 | 5 | 3 |

მე-13 გვერდი: 1. ფუფალა; 2. უფოლოგია; 3. „აველ"; 4. ნეგუსი; 5. ელექტორატი; 6. უტოპია; 7. კოლეგა; 8. „ტოსკა"; 9. ედიცია; 10. ჰეროდე; 11. რტო; 12. ალემანია; 13. ტომ; 14. ბაზა; 15. ნეკი; 16. გორდა; 17. ატრია; 18. არტანუჯი; 19. იპრიტი; 20. ილიამნა; 21. პლატო; 22. აის; 23. კლიო; 24. ურო; 25. იტურუპი; 26. აკაცია; 27. კლინტ ისტვუდი; 28. ატილა; 29. უმი; 30. კლონდაიკი; 31. ღირებულება; 32. ლემპირა; 33. ორთი; 34. ნიტი; 35. ტარო; 36. ნალი; 37. ფხა; 38. ოლღა; 39. ატენი; 40. არმა; 41. მიაუ; 42. ილი; 43. პი; 44. ტიტა; 45. აია; 46. ახო; 47. ნუნა; 48. ინდონეზია; 49. დურუ; 50. ინუ; 51. პალომა; 52. ნადი; 53. მაია; 54. აპაში; 55. ეჯი; 56. „მიტარბი"; 57. „კიევო"; 58. იკაო; 59. „დეუ"; 60. საუნჯე; 61. ბილინგსი; 62. კატრანი; 63. სი; 64. „იდიოტი"; 65. ვუდუ; 66. მარგო; 67. ოსტანი; 68. ისლი; 69. იდეა; 70. ურგა; 71. ემუ; 72. გვადი; 73. მინა; 74. კიროვი; 75. გვენ; 76. კატაკანა; 77. ნალია; 78. შუბი; 79. იფი; 80. მედინა; 81. ნაომი; 82. ნიუ; 83. კუკი; 84. ეფა; 85. მაკალოუ; 86. ზიკო; 87. კლოუნი; 88. ზმნა.

მე-16 გვერდი: 1. მარკშეიდერი; 2. მიკოლოგია; 3. სირენა; 4. ლოყა; 5. კორტი; 6. პიურე; 7. კორდებალეტი; 8. ექსპრომტი; 9. დეგუსტაცია; 10. რადიუმი; 11. კინოლოგია; 12. ლირი; 13. პუიოლი; 14. ანოსმია; 15. იმელმანი; 16. სეგედი; 17. პუტინი; 18. კელაპტარი; 19. დვირი 20. რასპუტინი; 21. იდო; 22. ნარდი; 23. კოტრანა; 24, მენიუ; 25. ლესკოვი; 26. ელო; 27. მოა; 28. რისკი; 29. დოტაცია; 30. კრიტიკა; 31. მოლი; 32. ელვა; 33. ოტარიდი; 34. ბიონსე; 35. მაკე; 36. ნაძვი; 37. „ალია"; 38. ლალი; 39. იდეა; 40. აგამია; 41. დარი; 42. სტოა; 43. მძევალი; 44. საცივი; 45. და; 46. რა; 47. ვაკე; 48. კოდალა; 49. სლაი; 50. ტანა; 51. „კია"; 52. „ია"; 53. „ელი"; 54. აბი; 55. სი; 56. ბაო; 57. ეკი; 58. ბაიანი; 59. ბუ; 60. ჰალვა; 61. პრადო; 62. ოდა.

1. ღმერთ ოდინის სასახლე სკანდინავიურ მითოლოგიაში
2. ბორტგაამყოლი ქალი თვითმფრინავში
3. „იუვენტუსის“ ჩილელი ნახევარმცველი
4. ქართული ხალხური ზღაპარი
5. ძვ. ასურეთის ლეგენდარული დედოფალი
6. პროფესიონალი მონადირე, ტყის მცველი
7. ახალზელანდიური მგალობელი ფრინველი
8. ბახალას დედა
9. ჯოვანი ბოკაჩოს ნაწარმოები
10. ჩეხი ჩოგბურთელი ... ლენდლი
11. პელეს მშობლიური გუნდი
12. თუთიყუშის სახეობა
13. თხელი, საფლობი ტალახი
14. დედამიწის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
15. ფარული დაცინვა
16. უოლტ დისნეის თაგვი
17. იაპონელი მწერალი ქენძაბურო ...
18. მემკვიდრეობის ფიზიკური ერთეული
19. სიმაღლით მსოფლიოს მე-7 მწვერვალი
20. ღრმა და შეუხორცებელი ჭრილობა
21. საფეხურებიანი ასასვლელ-ჩამოსასვლელი
22. „ოტელოს“ პერსონაჟი
23. ნახევრად დამშრალი ზღვა შუა აზიაში
24. შეძახილი კონცერტზე ნომრის გამეორების მოთხოვნით
25. პატარა გამოქვაბული კლდეში
26. აზერბაიჯანის დედაქალაქი
27. სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული
28. ცეცხლის მნათი ნაწილი
29. მსახიობი ... რაიანი
30. ბიბლიური ნოეს უმცროსი ვაჟი
31. შავი ავაზა „ჯუნგლების წიგნში“
32. ჯეკ ლონდონის „მარტინ ...“
33. უხუცეს-თა საბჭო ძველ საბერძნეთში
34. მდინარე პარიზში
35. რუსეთ-აფხაზეთის სასაზღვრო მდინარე
36. შეუდარებელი, განუმეორებელი
37. ინდოელი კინოვარსკვლავი აიშვარია ...
38. „ძე“ - არაბულ გვარებში
39. „ყინულების ქვეყანა“ ევროპაში
40. წიწვოვანი მარადმწვანე მცენარე
41. საოჯახო ელექტროხელსაწყო
42. „ღმერთების დედა“ ვედურ მითოლოგიაში
43. დასვ. დრო პარასკევსაღამოდან ორშაბათდილამდე
44. ინის საპირისპირო ძალა ჩინურ ფილოსოფიაში
45. ორი წერტილი კამათელზე
46. თბილისის უბანი
47. დეკარტის ერთ-ერთი კოორდინატთაგანი
48. კამბოჯის დედაქალაქი
49. აგენტი 007
50. ადვილი, მარტივი
51. დიდი ვენახი
52. ანდერსენის მშობლიური ქალაქი
53. ინგლისის დედოფლის საყვარელი ავტომარკა
54. გულმკერდის ძვალი
55. ორნაწილ. ნაწარმოები
56. ჩინეთის ფულის ერთეული
57. დიდი შვედი ბუნებისმეტყველი
58. მდგომარეობა კრივში
59. სუმოისტ ცაგურიას სპორტული ფსევდონიმი
60. მუსიკის ჟანრი
61. ძაღლის ჯიში
62. ციფრობრივი ნიშანი 0
63. ძველი ასურეთის დედაქალაქი
64. ცნობილი იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი
65. ძაღლის სადარაჯო ადგილი ცხვრის ფარასთან
66. მობილური ტელეფონების მარკა
67. ქალაქი კალიფორნიის შტატში
68. საპატიო მიმართვა მამაკაცისადმი ინგლისში
69. რუმინეთის ეროვნული ვალუტა
70. ესკიმოსთა ყინულის ქოხი
71. ბურთის გასვლა სათამაშო მოედნიდან
72. სოფელი სენაკის რაიონში
73. შუა აზიელთა ქეჩის კარავი
74. ქვეყანა ახლო აღმოსავლეთში
75. სომხური გვარების წინსართი
76. საჰაეროსთან კავშირის აღმნიშვნელი წინსართი
77. თოვლის კაცი
78. მეფე აიეტის ერთ-ერთი ცოლი, მედეას დედა
79. აიდაჰოს შტატის დედაქალაქი
80. ჩირიკის ვაჟი გ. ლეონიძის მოთხრობაში
81. მე-19 საუკუნის ფრანგი მწერალი



# კორეაში დამსმენი პაპარაცები „პატრულირებენ"



სამხრეთ კორეის ქუჩებში პაპარაცები პატრულირებენ, რომლებიც ცნობილ ადამიანებზე კი არა, კანონდამრღვევებზე „ნადირობენ“. ისინი კამერით იღებენ წვრილმან დანაშაულს და გარკვეული ანაზღაურების ფასად, ჩანაწერს ხელისუფლებას აძლევენ. ერთ-ერთმა ასეთმა პაპარაციმ განაცხადა, სულაც არ ვნანობ, ბენზინგასამართ სადგურზე მუშაობა რომ მივატოვე, ამ გზით თვეში სამი ათას დოლარზე მეტი ვიშოვეო. „დამნაშავეობასთან მებრძოლთა“ ასეთი გააქტიურება იმითაა გამოწვეული, რომ ჯერ კიდევ 2008 წელს სამხრეთ კორეის ხელისუფლებამ 60-მდე პროგრამა წამოიწყო, რითაც ქვეყნის მოსახლეობაში დასმენების წაქეზება ხდება. ადამიანს წვრილმან დარღვევაზე შეტყობინებაში 36 დოლარის მიღება შეუძლია, ხოლო თუ მსხვილ კორუფციულ გარიგებას ამხელს, რომელშიც სახელმწიფო ჩინოვნიკები იქნებიან გარეულნი, ანაზღაურება 1,4 მილიონ დოლარამდე იზრდება, თუმცა, ჯერჯერობით, ასეთი ჯილდო არავის მიუღია. ფოტოგრაფებმა კი, ამასობაში, საქმიანობის სფეროები დაინაწილეს: ზოგი საარჩევნო დარღვევებზე „მუშაობს“, სხვები ნაგვის უკანონო გადაყრაზე „სპეციალიზდებიან“, ზოგიც პროსტიტუციას ამხელს. „ხელობა“, კრიზისის გამო სამსახურიდან დათხოვნილმა მუშაკებმაც კარგად აითვისეს და ასე შოულობენ ფულს სტუდენტებიც. ეს კი არა, ქვეყანაში პაპარაცების რამდენიმე სკოლაც გაიხსნა, ახალი „პროფესიის“ მიმართ მოსახლეობის მოთხოვნილება რომ დააკმაყოფილოს.



# ჰოროსკოპი

## 24 იანვარი

***ვერძი*** — ნუ დაგეგმავთ საქმიან შეხვედრებს, გადადეთ მივლინებაც. ნუ აჩქარდებით და ყოველი ნაბიჯი კარგად აწონ-დაწონეთ, მხოლოდ ასე მიაღწევთ წარმატებას.

***კურო*** — პრობლემები, რომელიც პირად ცხოვრებაში წარმოიქმნება, უკვალოდ ჩაივლის. ერიდეთ კონფლიქტს ხელმძღვანელობასთან. დღის მეორე ნახევარი კი საკუთარ თავს მიუძღვენით — შეიცვალეთ იმიჯი. კარგი იქნება, თუ სახლის ინტერიერსაც მოაწესრიგებთ.

***ტყუპები*** — თუ საქმეს ენთუზიაზმით მოეკიდებით, ეს პროფესიულ გამოცდილებას შეგმატებთ. მეტი დრო დაუთმეთ გარეგნობას, თავი აარიდეთ საყვარელ ადამიანთან კამათს, ამან, შესაძლოა, კონფლიქტამდე მიგიყვანოთ.

***კირჩხიბი*** — დღეს მიმდინარე პროცესების მიუხედავად, არ უნდა დაკარგოთ ოპტიმიზმი და შეეცადოთ, საქმიანი ცხოვრება დაღმავალი გზით არ წავიდეს.

***ლომი*** — შესაძლოა, შეგექმნათ შთაბეჭდილება, რომ ერთ ადგილს ტკეპნით და ასეც არის, რადგან ტყუილად ხარჯავთ ენერგიას, ამიტომ, სჯობს, ტემპი შეანელოთ — უახლოეს მომავალში, წარმატებას ადვილად მიაღწევთ, თუ საქმიან კონტაქტებს გამოიყენებთ.

***ქალწული*** — შესანიშნავი პერიოდი გელით — მოგზაურობა, სასიამოვნო ემოციები, მხიარული წვეულებები. შესაძლოა, გაიცნოთ ადამიანი, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს.

***სასწორი*** — საკმაოდ კომუნიკაბელური ხართ და არ გაგიჭირდებათ საერთო ენის გამონახვა თანამშრომლებთან. კარგი დღეა გარიგებისთვის, ხელშეკრულების დადებისთვის. ბიზნესით დაკავებულ სასწორებს წარმატება ელით.

***ღრიანკალი*** — ეჭვების დრო წარსულში დარჩა, დღეს გააცნობიერებთ, რომ წამატება მხოლოდ თავდაუზოგავი შრომის წყალობით მიიღწევა და ადვილად იპოვით დასახული მიზნისკენ მიმავალ გზას.

***მშვილდოსანი*** — თქვენს ირგვლივ ემოციური დაძაბულობა იზრდება და კონფლიქტიც მწიფდება. ეცადეთ, თავი აარიდოთ მას, განსაკუთრებით, ოჯახის წევრებთან.

***თხის რქა*** — ფინანსური საკითხის მოგვარებისთვის საუკეთესო პერიოდია — მევალეებს ვალის დაბრუნება მოუწევთ. მართალია, ბევრი თქვენი ულტიმატუმით უკმაყოფილო დარჩება, მაგრამ თუ პრინციპულობას გამოიჩენთ, მოსალოდნელ უსიამოვნებას თავიდან აიცილებთ.

***მერწყული*** — ახალი შთაბეჭდილებები გელით. შეეცადეთ, დროის დიდი ნაწილი საინტერესო ადამიანების გარემოცვაში გაატაროთ. იდეალური დღეა ახალი სასიყვარულო თავგადასავლებისთვის.

***თევზები*** — მძიმე დღე გელით — დაძაბული სამუშაო თქვენს განწყობაზე იმოქმედებს. გარდაუვალია კამათი კოლეგებთან, მაგრამ პროვოცირებაზე ნუ გადახვალთ, რადგან შეიძლება, გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვათ.

# ჩაი კარიესს ებრძვის



ჩაი, განსაკუთრებით შავი, სასარგებლოა კბილებისა და ღრძილებისთვის, — გვარწმუნებენ ბრიტანელი სტომატოლოგები და დასძენენ, რომ თუნდაც ერთი ფინჯანი სასმელის მიღების შემდეგ, პირის ღრუში ორი სახის ბაქტერიის — Streptococcus მუტანს და Lactobacillus კონცენტრაცია ქვეითდება, რომელიც კარიესსა და ღრძილების ანთებას იწვევს. თუ დღეში სამ-ოთხჯერ მიირთმევთ შავ ჩაის, ამ საშიში ბაქტერიების კონცენტრაცია დაბალი არჩება და მნიშვნელოვან ზიანს ვერ აყენებს კბილებსა და ღრძილებს. მწვანე ჩაის უფრო ნაკლებად ახასიათებს ანტიბაქტერიული თვისებები, თუმცა ის წნევას არეგულირებს და წონის დაკლებას უწყობს ხელს. მაქსიმალური ეფექტის მისაღებად, სპეციალისტები გვირჩევენ, ორივე სახის ჩაი მივირთვათ მორიგეობით.

# ჩვილი გაყინეს



ბრიტანეთის ქალაქ რედინგის ექიმებს ახალშობილი ფრედი კუკის სამი დღით გაყინვა მოუხდათ, მისთვის სიცოცხლე რომ შეენარჩუნებინათ. საქმე ისაა, რომ დაბადებისას პატარას სუნთქვის პრობლემები შეექმნა, რის გამოც ფილტვებს 20 წუთის განმავლობაში ჟანგბადი არ მიეწოდებოდა. ბავშვის მშობლები შოკში იყვნენ, როცა გაიგეს ეს ამბავი, მაგრამ იგი „გაყინვამ" გადაარჩინა. მედიკოსები შიშობდნენ, რომ ჩვილს უჟანგბადოდ თავის ტვინის პრობლემები შეექმნებოდა, თუკი გადაარჩენდნენ. ოქსფორდის კლინიკაში ჩვილის გაყინვის ინოვაციური პროცედურა გამოიყენეს, რომელიც ბავშვის ტვინის დაზიანების რისკს შეამცირებდა — ბავშვის სხეული 33 გრადუსამდე გააციეს და სამი დღის განმავლობაში ის „ანაბიოზში" ამყოფეს, შემდეგ კი კვლავ ნორმალურ ტემპერატურაზე დააბრუნეს. აღმოჩნდა, რომ ამ პროცედურამ გაამართლა. ექიმები რეგულარულად ამოწმებენ ბავშვის ჯანმრთელობას და როგორც აცხადებენ, მის განვითარებაში რაიმე დარღვევა არ აღინიშნება.

# ლუდის ბოთლებისგან ტაძარი ააგეს



ბუდისტმა ბერებმა ტაილანდში უჩვეულო ტაძარი ააგეს, სამშენებლო მასალად კი ლუდის ცარიელი ბოთლები გამოიყენეს და „მილიონი ბოთლის ტაძარი" შეარქვეს. სწორედ ამდენი „სამშენებლო მასალა" დაჭირდათ ბერებს შენობის ასაგებად. ლუდის ბოთლების შეგროვება ბუდისტმა ბერებმა 1984 წლიდან დაიწყეს. შედეგად, შუშის „აგურები" იმდენი მოგროვდა, რომ მისი გამოყენება სამშენებლო მასალად გადაწყვიტეს. ბერებმა ადგილობრივი ხელისუფლების დარწმუნებაც კი მოახერხეს, საკუთარი წვლილი შეეტანათ ამ უჩვეულო არქიტექტურულ პროექტში. შედეგად, მთელი კომპლექსი აშენდა, რომელიც 20-მდე შენობას აერთიანებს — მთავარი ტაძარი, კრემატორიუმი, სამლოცველო ოთახები, დარბაზი ცერემონიებისთვის და სხვა. ბოთლები ფერს არ კარგავს, კარგ განთებას იძლევა და ადვილადაც იწმინდება, — ამტკიცებენ ტაილანდელი ბერები.

# მაღაზიაში ფასს მყიდველი ადგენს




ცოტა ხნის წინ, დონეცკში უჩვეულო მაღაზია გაიხსნა, სადაც მყიდველები თავად ადგენენ პროდუქტის ფასს და ყიდულობენ ყველაფერს, რაც მოესურვებათ. ეს პირველი მაღაზიაა, რომელიც ონკოლოგიური დაავადებების მქონე პატარებს ეხმარება და გამყიდველად ვოლონტიორები მუშაობენ. მაღაზიაში ყველაფერს იბარებენ, მაგრამ აბსოლუტურად უსასყიდლოდ. ადამიანებს მოაქვთ ყველაფერი, რაც მოესურვებათ: ავეჯი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, სათამაშოები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ბიჟუტერია, წიგნები და სხვა საქონელი, რაც კი მყიდველს დააინტერესებს, კლიენტები კი თავად ადგენენ ამა თუ იმ ნივთის ფასს, რადგან იციან, რომ გადახდილი თანხა სიმსივნით დაავადებული ბავშვების მკურნალობას მოხმარდება.



# ჰოროსკოპი

## 25 იანვარი

***ვერძი*** — უამრავ ადამიანთან გელით შეხვედრა. თუ არ გსურთ საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნა, ნუ იქნებით გამომწვევი და თავი შეიკავეთ საკუთარი აზრის დაფიქსირებისგან.

***კურო*** — შესაძლოა, სწრაფი რეაგირება დაგჭირდეთ — მართალია, არ ხართ მზად, სარისკო ნაბიჯები გადადგათ, მაგრამ არსებულ ვითარებაში სხვა გამოსავალი არ გექნებათ.

***ტყუპები*** — კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, უსიამოვნებას გადაეყრებით. თუ ამბიციებს დაიოკებთ, კარიერული წინსვლა გარდაუვალი იქნება.

***კირჩხიბი*** — მიხვდებით, რომ გარშემომყოფებზე ერთი თავით მაღლა დგახართ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ მეტი პასუხისმგებლობა გაკისრიათ და მისაბაძი უნდა იყოთ — ამიტომ არ გაქვთ შეცდომის დაშვების უფლება.

***ლომი*** — ჭეშმარიტების გასარკვევად, ძალისხმევა დაგჭირდებათ. შესაძლოა, ვიღაცას არ მოეწონოს თქვენი ცნობისმოყვარეობა. საკუთარი პრობლემები მასთან განიხილეთ, ვისაც ენდობით.

***ქალწული*** — საქმიან საუბარში პრინციპულობა გამოავლინეთ და არ დათმოთ საკუთარი პოზიცია — მხოლოდ ასე შეძლებთ საქმიანი პარტნიორების დარწმუნებას, რომ თქვენი ბიზნესგეგმა პერსპექტიულია.

***სასწორი*** — სხვისი პრობლემების მოგვარებას, სჯობს, საკუთარ ცხოვრებას მიხედოთ. ვერც კი შეამჩნიეთ, როგორ აღმოჩნდით უფსკრულის პირას. სასწრაფოდ მოაგვარეთ პრობლემა, რადგან არსებობს საყვარელი ადამიანის დაკარგვის რისკი.

***ღრიანკალი*** — შესაძლოა, რეალობისგან მოწყვეტილი აღმოჩნდეთ. ერთი მხრივ, ეს ცოტა ამოგასუნთქებთ, მეორე მხრივ კი — შეძლება ხელი შეგეშალოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას.

***მშვილდოსანი*** — მოთმინება გამოიჩინეთ, რადგან პრობლემები ერთმანეთის მიყოლებით იჩენს თავს. ნუ იტყვით უარს მეგობრების დახმარებაზე — მათი რჩევები უდავოდ დაგჭირდებათ.

***თხის რქა*** — თქვენი უნარი, იგრძნოთ და შეამჩნიოთ ის, რასაც სხვები ვერ ხედავენ, დღეს გაძლიერდება და ყველა თქვენს კითხვას გაეცემა პასუხი. მოემზადეთ, შესაძლოა, მიღებულმა ინფორმაციამ იმედი გაგიცრუოთ.

***მერწყული*** — შესაძლოა, აპათიის მსხვერპლი გახდეთ, თანაც დიდი ხნით. ნუ მისცემთ თავს დასვენების უფლებას, ნაკლებად იფიქრეთ პრობლემებზე და მიყევით ცხოვრების დინებას.

***თევზები*** — დღეს ყურადღებიანი მსმენელის როლში შეიძლება აღმოჩნდეთ, დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ, მოთმინებით რომ უსმინოთ სხვების წუწუნს უბედობაზე, თუმცა ეს გარკვეული დროით საკუთარ პრობლემებს დაგავიწყებთ.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | 6 | | | | | |
| | | | | 3 | 2 | 7 | 1 | |
| 6 | | 4 | | | 8 | 3 | | |
| | | | | | | | 9 | 8 |
| | | 2 | | | | 6 | | |
| 7 | 9 | | | | | | | |
| | | 9 | 7 | | | 4 | | 1 |
| | 5 | 8 | 1 | 2 | | | | |
| | | | | | 6 | 5 | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | | | | | 8 | 5 |
| 5 | | 1 | 6 | | | | | |
| 9 | | | 5 | | | 6 | 4 | |
| | | 3 | | 6 | | | | |
| | | | 9 | 4 | 7 | | | |
| | | | | 2 | | 7 | | |
| | 1 | 2 | | | 9 | | | 3 |
| | | | | | 8 | 1 | | 7 |
| 3 | 5 | | | | | 2 | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 9 | 1 |
| 4 | | | | 5 | | | | 6 |
| | 9 | | | | 7 | | 5 | |
| 7 | 8 | | 2 | | | | | |
| | | 9 | | 7 | | 6 | | |
| | | | | | 1 | | 3 | 8 |
| | 3 | | 8 | | | | 2 | |
| 2 | | | | 1 | | | | 5 |
| 5 | 4 | | | | | | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | 3 | 6 | | | | | |
| 5 | | | 9 | | 8 | 7 | | |
| | | | | | | 1 | 6 | |
| | | | | 3 | 9 | | 1 | |
| 3 | | 1 | | | | 5 | | 9 |
| | 6 | | 1 | 2 | | | | |
| | 3 | 9 | | | | | | |
| | | 8 | 4 | | 5 | | | 6 |
| | | | | | 3 | 8 | 7 | |



## ჰოროსკოპი
## 26 იანვარი

***ვერძი*** — ნურავის ნურაფერს დაუმტკიცებთ, აკეთეთ თქვენი საქმე და არ დაიშუროთ ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობები. მიღწეულით თავადაც კმაყოფილი დარჩებით.

***კურო*** — მოაგვარეთ ურთიერთობები საქმიან პარტნიორებთან და მიახვედრეთ ისინი, რომ გადამწყვეტი სიტყვა თქვენ გეკუთვნით. არ ღირს მთლიანად სხვების კომპეტენციასა და ჯანსაღ აზრზე დაყრდნობა, ენდეთ საკუთარ ინტუიციას და წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

***ტყუპები*** — ნუ შეუშინდებით სიახლეებსა და ცვლილებებს, თუ მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მოქმედება გადაწყვიტეთ, ნურარ დააყოვნებთ.

***კირჩხიბი*** — შესაძლოა, ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიათ, მაგრამ ყველაფერს ერთბაშად ნუ მოედებით — წამოწყება წამოწყებად დარჩება. სჯობს, ერთი საქმე მიიყვანოთ ბოლომდე.

***ლომი*** — უმართლებს მას, ვისაც საფრთხე არ აშინებს. დღეს ადვილად მოაგვარებთ ძველ საქმეებსა და ფინანსურ საკითხებს. გამოიყენეთ ნებისმიერი შესაძლებლობა და ადვილად გადალახავთ წინააღმდეგობას.

***ქალწული*** — მეგობრებს თქვენი რჩევები დასჭირდებათ. შეეცადეთ, უყურადღებოდ არავინ დატოვოთ. ლოიალური იყავით გარშემომყოფების მიმართ და მათ კეთილგანწყობას ადვილად მოიპოვებთ.

***სასწორი*** — შესაძლოა, ასეთი საქმის გაკეთებამ მოგიწიოთ, რაც თქვენს კომპეტენციას აღემატება, თუმცა ეს გამოცდილებას შეგმატებთ და მეტად თავდაჯერებულიც გახდებით.

***ღრიანკალი*** — ან უსაქმოდ ხართ, ან ყველა იდეის ერთ დღეში განხორციელება გსურთ. სჯობს, საქმე გადაანაწილოთ და სამოქმედო გეგმა დასახოთ — მხოლოდ ასე მიაღწევთ წარმატებას.

***მშვილდოსანი*** — თამამად იმოქმედეთ და გადაწყვეტილებებიც ვითარების შესაბამისად მიიღეთ. დღეს მოვლენები გეგმის მიხედვით არ განვითარდება და თქვენც სარისკო ნაბიჯების გადადგმა მოგიწევთ.

***თხის რქა*** — ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოვლენამ, შესაძლოა, მთელი გეგმები თავდაყირა დააყენოს. ამ დროს მთავარია, სიმშვიდე შეინარჩუნოთ და ეცადოთ, მაქსიმალურად აკონტროლოთ ვითარება.

***მერწყული*** — უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დაგიგროვდათ, ამიტომ რჩევისთვის კომპეტენტურ ადამიანებს მიმართეთ, თუმცა გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის გარდა, ცხოვრებაში სხვა ფაქტორებიც არსებობს.

***თევზები*** — თქვენი ცნობისმოყვარეობა გარშემომყოფებისთვის უკვე გამაღიზიანებელი ხდება. ეცადეთ, თავი შეიკავოთ ზედმეტი კითხვებისგან და ნაკლებად იაქტიუროთ, მხოლოდ ასე აიცილებთ თავიდან მოსალოდნელ კონფლიქტს.

## ყავა და ლუდი დნმ-ს ცვლის?




მეცნიერებმა თელ-ავივის უნივერსიტეტიდან გაარკვიეს, რომ ყავა და ლუდი დნმ-ის იმ ნაწილის ცვლილებას ახდენს, რომელიც სიმსივნესა და დაბერებას უკავშირდება — კოფეინი ამოკლებს, ქარვისფერი სასმელი კი, პირიქით, აგრძელებს ტელომერებს — ქრომოსომების დაბოლოებებს. ასეთ დასკვნამდე მკვლევარები სხვადასხვა საფუარის 6 ათასამდე შტამის შესწავლის შედეგად მივიდნენ და ვარაუდობენ, რომ საკითხის უფრო ღრმა შესწავლამ, შესაძლოა, სიმსივნის წარმოშობაც ახსნას, რაც სწორედ ტელომერების დამოკლებასთან ასოცირდება. ამ პროცესს კი ხელს უწყობს დიდი რაოდენობით ყავა, ლუდი კი, პირიქით, ტელომერებს აგრძელებს. გარდა ამისა, ლუდის ზომიერი რაოდენობით მიღება ალუმინის ტოქსიკურ ეფექტსაც ამცირებს, რომელიც ალცჰეიმერის დაავადების ერთ-ერთ სავარაუდო მიზეზად მიიჩნევა.

## საუკეთესო ფილმები



ნიუიორკის კინოკრიტიკოსთა საზოგადოებამ საუკეთესო ფილმები დაასახელა: პირველობა დევიდ რასელის ნამუშევარს ერგო, სახელწოდებით „აფერა ამერიკულად“. ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ კრისტიან ბეილი, ბრედლი კუპერი, ემი ადამსი და ჯენიფერ ლოურენსი. სპეციალისტებმა სურათი საუკეთესო სცენარისთვისაც გამოარჩიეს, საუკეთესო მსახიობად კი 77 წლის რობერტ რედფორდი დაასახელეს, რომელმაც მთავარი როლი შეასრულა ფილმში „არ ჩაქრება იმედი“. საუკეთესო მსახიობ ქალად კეიტ ბლანშეტი აღიარეს, რომელმაც ვუდი ალენის ფილმში „ჟასმინი“ ითამაშა. საუკეთესო რეჟისორად ნიუ იორკელმა კინომცოდნეებმა სტივ მაკქუინი დაასახელეს, რომელმაც „მონობის 12 წელი“ გადაიღო, მეორეხარისხოვანი როლების საუკეთესო შემსრულებლებლად კი ჯენიფერ ლოურენსი და ჯარედ ლეტო მიიჩნიეს. კინოკრიტიკოსთა აზრით, საუკეთესო უცხოური ფილმი ფრანგი რეჟისორის, აბდელატიფ კეშიშის სკანდალური სურათი „ადელის ცხოვრებაა“, რომელმაც კანის კინოფესტივალზე „ოქროს პალმის რტო“ დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ ამერიკელი კინოკრიტიკოსების არჩევანი ხშირად ემთხვევა ხოლმე იმ კინოაკადემიკოსების აზრს, რომლებიც „ოსკარის“ ბედნიერ მფლობელებს გამოავლენენ.

## ადამიანის სიმაღლეს ხმა განსაზღვრავს



აკუსტიკის სპეციალისტთა ჯგუფმა ვაშინგტონის უნივერსიტეტიდან აღმოაჩინა, რომ ადამიანის ხმასა და მის სიმაღლეს შორის კავშირი არსებობს. მათი მტკიცებით, ყოველგვარი მოწყობილობის გარეშე, მხოლოდ ხმით შესაძლებელია მოლაპარაკის სიმაღლის გამოცნობა. ექსპერიმენტების შედეგად გაირკვა, რომ ყოველგვარი მომზადების გარეშე, ადამიანს, დაახლოებით, 62,5%-იანი ალბათობით შეუძლია თქვას, რომელია ორი დიქტორიდან უფრო მაღალი. კვლევის ავტორები აღნიშნავენ, რომ ადამიანების ხმაში არის კომპონენტები, რომლებიც ხორხის ზომაზეა დამოკიდებული, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, სიმაღლეს შეესაბამება. ადამიანის უნარი, ამოიცნოს მოსაუბრის სიმაღლე რაიმე მოწყობილობის გარეშე, ჯერჯერობით, ისევ აუხსნელი რჩება.

## ღალატის საწინააღმდეგო პრეპარატი შექმნეს



მეცნიერებმა ბონის უნივერსიტეტიდან განაცხადეს, რომ ცხვირის სპრეი შეიმუშავეს, რომელიც მამაკაცებს ერთგულ მეუღლეებად აქცევს. მკვლევარებმა საკუთარი ქმნილების მოქმედების მეთოდი ახსნეს — სპრეის ძირითადი კომპონენტი ოქსიტოცინია, რომელიც „სიყვარულის ჰორმონის“ სახელითაა ცნობილი. მამაკაცები სისხლში ოქსიტოცინის მაღალი დონით საკუთარ ცოლებს უფრო ლამაზებად და მომხიბვლელებად მიიჩნევენ, ვიდრე ის კაცები, რომელთაც ამ ჰორმონის დონე დაბალი აქვთ. სწავლულების თქმით, ახალი სპრეი უკვე გამოსცადეს 40 ჰეტეროსექსუალ მამაკაცზე, რომლებიც ექსპერიმენტის დროს მეუღლესთან ან საყვარელ ქალთან ერთად ცხოვრობდნენ. შედეგად აღმოჩნდა, რომ ოქსიტოცინი კაცის თავის ტვინში სიამოვნების ცენტრს აღაგზნებს, რაც, სავარაუდოდ, მონოგამიურ ქცევას უწყობს ხელს. ისე კი, გახდება თუ არა ეს „სასწაულებრივი“ სპრეი ერთგულების ასპროცენტიანი გარანტია, ჯერჯერობით, არავინ უწყის.



1. საიდუმლოს მკაცრად დაცვა
2. ჰოლივუდის მსახიობი მიშელ ...
3. ფერად-ფერადი შუშხუნების გაშვება
4. ტყის ყაყაჩო
5. გრძელი სია
6. მაჰმადიანთა რელიგია
7. უცებ ამოვარდნილი ძლიერი ქარი
8. მოსწავლეთა შეფასების უმაღლესი ნიშანი საბჭოთა სკოლაში
9. ორასთვალა ღმერთი რომაულ მითოლოგ.
10. მწვავე შეხლა-შემოხლა
11. იგივეა, რაც შედეგი
12. რუსი საბჭოთა ფიზიკოსი
13. ებრაელთა მოძღვარი
14. ჩვილი ბავშვის პირველი „სიტყვა“
15. ბაღჩეული კულტურა
16. დიდი რუსი მეცნიერი
17. გერმანიის საფეხბურთო კლუბი
18. პოლ მაკარტნის დიზაინერი ასული
19. ქართველი თეატრალ. რეჟისორი
20. უბედურების საერთაშ. სიგნალი
21. ბიჭი ინგლისურად
22. სასაზღვ. პუნქტი
23. იმპოტენციის წამალი
24. წყლის ძუძუმწოვარი ცხოველი
25. შეხვედრა უმაღლეს დონეზე
26. ირმის დატოტვილი რქა
27. პატარძლის თავსაბურავი
28. სამეურნეო მუშაკი
29. ტრიგონომეტრიული ფუნქცია
30. მიმართვა ინგლ. ქალიშვილისადმი
31. (ძვ.) ხვეწნა, მუდარა
32. საზოგადოების რჩეული ნაწილი
33. ყელის ინფექციური დაავადება
34. პატარა მტაცებელი ცხოველი
35. ბანქოს ფიგურა
36. დიდი ფრანგი მოქანდაკე
37. უდაბლეს საფეხურზე მდგომი მცენარე
38. როკ-ჯგუფი „... ფლოიდი“
39. ხორვატიის ფულის ერთეული
40. არიციას ლიტერატ. „მამა“
41. კომპოზ. ... ხაჩატურიანი
42. ეგვიპტის კუთვნილი ნახევარკუნძული
43. ლინდგრენის „ყაჩაღის ასული“
44. ვირტუოზული პასაჟი სიმღერაში
45. დროის დიდი მონაკვეთი, ეპოქა
46. ვირის გასარეკი შეძახილი
47. ევროპელ ებრაელთა ენა
48. ნაბიჯი ბალეტში
49. ჯავშნიანი ქვეწარმ.
50. კუნთების ხანგრძლივი აგზნება
51. სოფელი ყაზბეგის რაიონში
52. გრიბოედოვის კომედია „... ჭკუისაგან“
53. ამაზონის დელფინი
54. ოლქის სახელწოდება უნგრეთში
55. გულმკერდის რკალისებური ძვალი
56. წარმოთქმის მანერა, რომელიც მთქმელის გრძნობებს გამოხატავს
57. ქართული ტელეარხი
58. „რომეო და ჯულიეტას“ პერსონაჟი
59. ნიგერ. ფეხბურთ.
60. ბილიარდ. ჯოხი








ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**



## შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**



**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



# ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.